ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 18 დეკემბერი, 2015 №297 (6917) ფასი: 50 თეთრი

ვლადიმერ პუტინი: „მზად ვართ, საქართველოსთან სავიზო რეჟიმი გავაუქმოთ“

გვ.2

რას იზამს საქართველოს მთავრობა

„მანანა კობახიძემ პარლამენტი უნდა დატოვოს!“

გვ.3

გვ.2 ალეკო ელისაშვილი ჩერნოვეცკის პარტიაში შედის?

„პროკურატურა სამარცხვინოდ იქცევა“

გვ.2

ძალიან მალე ვიტყვი, ვინ არიან ეს პოლიტიკოსები

დავით დარჩიაშვილი: „ივანიშვილი ხან ელისაშვილის მხარეს იქნება, ხან — კობახიძის“

გვ.5

გვ.3

ზაზა ხატიაშვილი: „მურუსიძე სამართლიანი სასამართლოს მტერია“

მარგველაშვილმა მოწმეთა დაკითხვის წესის გადავადებას ხელი მოაწერა

გვ.3

გვ.4

„ნარმანიამ „ქართული ოცნება“ შოკში ჩააგდო“

ISSN 1987-9385

ლევან ხაბეიშვილი: „ნარმანია ტაქსისტების კვლევაში რამდენიმე ათეულ ათასს ხარჯავს“

გვ.4

ლევან მამალაძე: „ბესელია და ხიდაშელი ბინძურ საქმეებს ჩადიან და ივანიშვილს მოვუწოდებ, გარიცხოს „ოცნებიდან“

მალხაზ დოლიძე: „ფქვილისთვის ვიტამინების დამატებამ შეიძლება ჯანმრთელ ადამიანებში უკუჩვენება გამოიწვიოს“

გვ.6

გვ.5

ირაკლი სესიაშვილი: „სანაკოევი პროვოკატორობს“

ვლადიმერ პუტინი: „მზად ვართ, საქართველოსთან სავიზო რეჟიმი გავაუქმოთ“

რას იზამს საქართველოს მთავრობა

შორენა მარსაგიშვილი

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი საქართველოს საეჭვოდ დაუტკბა. 17 დეკემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე მან საქვეყნოდ განაცხადა, რომ მოსკოვი მზადაა, საქართველოსთან სავიზო რეჟიმი გააუქმოს. არადა, თავის დროზე სწორედ ვლადიმერ პუტინის მოთხოვნით დაწესდა ეს რეჟიმი. დსთ-ის სივრცეში საქართველო ერთადერთი ქვეყანა იყო, რომელსაც რუსეთმა შეზღუდვები დაუწესა.

პუტინამდე სავიზო რეჟიმის შესაძლო გაუქმებაზე რუსეთის ხელისუფლების სხვა წევრებმა გააკეთეს მინიშნებები, თუმცა ამ მიმართულებით არანაირი ნაბიჯი არ გადადგმულა.

სავიზო რეჟიმის გაუქმებასთან ერთად, კრემლის ბატონმა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზეც ისაუბრა. მისი თქმით, ეს ქართველების, ოსებისა და აფხაზების საქმეა.

– რაც შეეხება ტერიტორიულ მთლიანობას, პირველ რიგში, ეს ქართველების, ოსებისა და აფხაზების საქმეა. მათთან მუშაობაა საჭირო. ჩვენ ყველა გადაწყვეტილებას მივიღებთ. სირთულეების მიუხედავად, ვხედავთ მოქმედი ხელისუფლების მხრიდან სიგნალებს. გაიზარდა ჩვენ შორის სავაჭრო ბრუნვა. რაც შეეხება ვიზებს, მზად ვართ, გავაუქმოთ, – განაცხადა ყოველწლიურ პრესკონფერენციაზე პუტინმა.

როგორც მოსალოდნელი იყო, პუტინის ამ განცხადებას ჩვენს ხელისუფლებაში დიდი ფაციფუცი მოჰყვა. ჩვენმა პრემიერმა რუსთა პრეზიდენტის მოსაზრებას სწორად გადადგმული ნაბიჯი უწოდა.

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, საქართველოს მთავრობა დაინტერესებულია, რომ ქვეყანას მეტი ტურისტი ეწვიოს რუსეთიდან და ადამიანებს შორის კონტაქტები შეძლებისდაგვარად გამარტივდეს.

– გავეცანით რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის დღევანდელ განცხადებას საქართველოს მოქალაქეებისთვის რუსეთთან სავიზო რეჟიმის შესაძლო გაუქმების თაობაზე. ვფიქრობთ, რომ ეს სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია. მოგეხსენებათ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 2011 წელს გააუქმა სავიზო მოთხოვნა რუსეთის მოქალაქეებისათვის. მიმდინარე წელს ჩვენ კიდევ უფრო გავახანგრძლივეთ საქართველოში მათი შესაძლო ყოფნის პერიოდი, რადგან დაინტერესებული ვართ, რომ საქართველოს მეტი ტურისტი ეწვიოს რუსეთიდან და შეძლებისდაგვარად გამარტივდეს ადამიანებს შორის კონტაქტები, – ამბობს ღარიბაშვილი.

მისი თქმით, გასათვალისწინებელია რუსეთში მცხოვრები ჩვენი მრავალრიცხოვანი თანამემამულეების, ასევე ქართველი ბიზნესმენებისა და რიგითი მოქალაქეების ინტერესი სავიზო რეჟიმის გამარტივებასთან დაკავშირებით.

– მათი სურვილია, ორ ქვეყანას შორის მიმოსვლა მინიმალური სირთულეებით ხორციელდებოდეს, – აღნიშნავს პრემიერი.

მისი განმარტებით, ბოლო 3 წლის განმავლობაში მოსკოვმა და თბილისმა ვაჭრობის, სატრანსპორტო და ჰუმანიტარულ სფეროებში გარკვეული ნაბიჯების გადადგმა შეძლეს.

– მზად ვართ, გავაგრძელოთ არჩეული პრაგმატული კურსი რუსეთთან მიმართებით და რუსეთის მხრიდანაც ველით ანალოგიურ მიდგომას. უახლოეს დღეებში ველით ევროკავშირის გადაწყვეტილებას საქართველოს მოქალაქეებისათვის ვიზალიბერალიზაციის საკითხთან დაკავშირებით, რაც ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იქნება. ზოგადად, ჩვენი მთავრობის პრინციპული პოზიციაა, რომ საქართველოს მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ მსოფლიოში თავისუფალი გადაადგილების მაქსიმალური საშუალება.

ჩვენი ხელისუფლების გააზრებულ საგარეო პოლიტიკას სერიოზული ხელშესახები შედეგები მოაქვს. სწორედ ასე აღიქვამენ ამას როგორც ჩვენი მოქალაქეები, ასევე დასავლელი პარტნიორები, – მიიჩნევს მთავრობის მეთაური.

* * *

საქართველოს თემატიკა პუტინის ყოველწლიურ პრესკონფერენციაზე სხვა კუთხითაც იყო წარმოდგენილი. ჟურნალისტებისთვის გაშლილ სუფრაზე, სხვა კერძების გვერდით, მეგრული და იმერული ხაჭაპურიც იწონებდა თავს.

თავის გამოსვლაში კრემლის ბინადარმა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტიც გაიხსენა. პუტინის განცხადებით, საქართველოსა და რუსეთს შორის დაპირისპირების დაწყება მოსკოვის ბრალი არ არის.

მისი თქმით, ქვეყანა ტერიტორიულ დანაწევრებამდე საქართველოს ყოფილმა ხელისუფლებამ მიიყვანა.

– კვლავ ვიმეორებ, ჩვენ არ ვართ სიტუაციის გამწვავების მიზეზი. არ უნდა მიეღოთ ყოფილ ხელისუფლებასა და ყოფილ პრეზიდენტ სააკაშვილს ავანტიურისტული გადაწყვეტილებები, რომელმაც ქვეყანა ტერიტორიულ დანაწევრებამდე მიიყვანა. ეს მათი ბრალია, – განაცხადა პუტინმა.

მან მიხეილ სააკაშვილის ოდესის გუბერნატორად დანიშვნაზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ ეს უკრაინელი ხალხისთვის „სახეში შეფურთხება“ იყო.

– ახლა პოლიტიკური მოღვაწეების ექსპორტით დაკავდნენ. აქტიურად განაგრძობენ მუშაობას უკრაინაში. არც შეუცვლიათ მუშაობის სტილი. ადრეც ვახსენე და ახლაც ვიტყვი, რომ, ჩემი აზრით, ეს იყო უკრაინელი ხალხისთვის სახეში შეფურთხება, – აღნიშნა რუსეთის პრეზიდენტმა.

მის პრესკონფერენციას თვალს არსენ ავაქოვის მიერ წყალნაპკურები მიხეილ სააკაშვილიც ადევნებდა.

მან რუსეთის ლიდერი ტყუილში დაადანაშაულა და ვარაუდი გამოთქვა, რომ მას მალე ცხვირის ოპერაცია დასჭირდება.

– როგორც ყოველთვის, პუტინმა მე გამიხსენა. ვლადიმერ ვლადიმეროვიჩს ჩემი დავიწყება არ შეუძლია. ჩემი საქმიანობა უკრაინაში მას ძალიან არ მოსწონს და მე მისი მესმის. თუ უკრაინაში კორუფციას ხერხემალში გადავტეხთ და სიღრმისეულ რეფორმებს გავატარებთ, მისი სიცრუის იმპერია კარტის სახლივით დაიშლება. პუტინმა მორიგი ტყუილი თქვა, რომ ამერიკელებმა ვიზა არ მომცეს, მაშინ როცა სამწლიანი სამუშაო ვიზა მაქვს. ჩემთან დაკავშირებით იმდენი ტყუილი ილაპარაკა, მალე პლასტიკური ოპერაცია დასჭირდება, რომ ცხვირი არ გაეზარდოს, – წერს ფეისბუქის გვერდზე სააკაშვილი.

ალეკო ელისაშვილი ჩერნოვეცკის პარტიაში შედის?

შორენა მარსაგიშვილი



თბილისის საკრებულოს დეპუტატმა ალეკო ელისაშვილმა შესაძლოა საპარლამენტო არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა. ცნობადობა და პოპულარობა მას არც აქამდე აკლდა, მაგრამ ბოლო დღეებში აგორებულმა სკანდალმა ის უფრო აქტუალური გახადა.

მის მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა „ქართული ოცნება“ სერიოზულად დააზარალა. იყო ვარაუდები, რომ ის ნაციონალების დავალებით მოქმედებდა, თუმცა ბოროტი ხმები იმასაც ამბობდნენ, რომ მეოცნებეთა აწიოკებაზე საკრებულოს დამოუკიდებელ დეპუტატს „კურთხევა“ ბიძინა ივანიშვილისგან ჰქონდა.

სანამ ერი მისი გააქტიურების მიზეზების ამოხსნით არის დაკავებული, ელისაშვილის პოლიტიკურ მომავალთან დაკავშირებით მორიგი ვერსია გავრცელდა.

„ახალ თაობას“ სარწმუნო წყარომ აუწყა, რომ მასთან მოლაპარაკებებს პარტია „ბედნიერი საქართველოსთვის“ წარმომადგენლები აწარმოებენ.

ეს პარტია ოფიციალურად ჯერ არ დაფუძნებულა, მაგრამ მისი მისამართით ინტერესი ძალიან დიდია.

საქართველოს გაბედნიერების პრეტენზია, მოგეხსენებათ, კიევის ყოფილ მერ ლეონიდ ჩერნოვეცკის აქვს.

პარტიის სადამფუძნებლო ყრილობა ახლო მომავალში გაიმართება. ცნობილი ხდება, რომ ჩერნოვეცკისთან პარლამენტის ვიცესპიკერი მურმან დუმბაძე ერთიანდება.

ელისაშვილის ამბის გადამოწმება სწორედ მასთან ვცადეთ. დუმბაძემ საკრებულოს დეპუტატთან მოლაპარაკებებში მონაწილეობა უარყო, ამასთან, აღნიშნა, რომ მათი პარტიის კარი ყველასთვის ღიაა.

– ამ საკითხზე ბატონ ალეკო ელისაშვილთან მოლაპარაკება არ მქონია. ჩვენს პარტიას ჰქვია „ბედნიერი საქართველოსთვის“ და მის რიგებში გაწევრიანების უფლება საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს აქვს. ბატონი ალეკოც საქართველოს მოქალაქეა და, თუ სურვილი გაუჩნდება, რატომ უნდა ვიყოთ წინააღმდეგი? – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში დუმბაძემ.

სარწმუნო წყარომ „ახალ თაობას“ იმის შესახებაც მიაწოდა ინფორმაცია, რომ ახალ პარტიაში შესვლის სურვილი „ქართული ოცნების“ რამდენიმე დეპუტატსაც გასჩენია. საუბარია ისეთი კატეგორიის მეოცნებეებზე, რომლებსაც „ოცნების“ საარჩევნო სიაში მეორედ მოხვედრის არანაირი შანსი არა აქვთ.

მურმან დუმბაძე ამ საკითხთან დაკავშირებით არ საუბრობს და გვირჩევს, პარტიის სადამფუძნებლო ყრილობას დაველოდოთ.

ალეკო ელისაშვილი: „პროკურატურა სამარცხვინოდ იქცევა“

ძალიან მალე ვიტყვი, ვინ არიან ეს პოლიტიკოსები

მთავარ პროკურატურაში ალეკო ელისაშვილი დაკითხეს. მან განაცხადა, რომ პროკურატურის მუშაობით უკმაყოფილოა.

ელისაშვილი ამბობს, რომ სკანდალურ საქმეზე 2 კვირის განმავლობაში გამოძიება მიდის და მისი მობილური ნომრის ამონაწერის მიტანა მაგთიდან პროკურატურაში გამომძიებელმა მას თავად სთხოვა.

ალეკო ელისაშვილი:

– კომპანია მაგთიდან სატელეფონო ამონაწერები უნდა მივუტანო, ვინ მირეკავდა, ვინ მიმესიჯებდა და როდის და იყვნენ თუ არა ის პოლიტიკოსები. ძალიან სასაცილოა, 2 კვირაა, ინტენსიურად მიდის გამოძიება, მთელი ალიაქოთია ატეხილი და პროკურატურას ეს ამონაწერები მაგთიდან არ ამოუღია.

მე მელოდებიან, რომ მივუზიდო ეს მტკიცებულებები. ბარემ მე დავიჭერ იმ ადამიანებს და დაბორკილებულს მოვიყვან აქ. ეს ანეკდოტია.

გუშინ ეთერში ეს ამონაწერი ვაჩვენე, გამომძიებელმა დღეს დამირეკა და მითხრა, იქნებ მოგვიტანოთ ამონაწერებიო. ეს სირცხვილია. ეს იყო შოთაძის გამოწვევა. ისედაც დაბალი ნდობის არის პროკურატურა და ამ საქმეზე ასე სამარცხვინოდ იქცევიან. რომ გამოხტნენ და მესიჯები არ იყო ინბოქსშიო, რა ინახება იქ, ის უნდა ნახონ. მე კანონს პატივს ვცემ, მოვედი და კიდევ მოვალ, თუ საჭირო იქნება, მტკიცებულებებსაც მოვიტან. მაგრამ, მათ თუ ეზარებათ, ბარემ მე ვიქნები პროკურორი, გამომძიებელი, ციხის ადმინისტრაციის უფროსი და ა.შ. ძალიან მასკარადულია ეს ყველაფერი.

30 აპრილს შემოვიდა 14:36 წუთზე 4 დიდი მესიჯი ჩემს ტელეფონზე და ეს ფურცლები ადასტურებს ამას. თუ წაშლიან, მაგასაც დავადასტურებ, რომ იყო და წაშალეს. არ მეზარება დაკითხვაზე სიარული, მაგრამ თვითონაც არ ეზარებათ, თავი ასე შეირცხვინონ. პროკურატურა მეხმარება იმაში, რომ ღიად დავასახელო ეს პოლიტიკოსები.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

კახა კუკავა: „მანანა კობახიძემ პარლამენტი უნდა დატოვოს!“

ნონა ცაბაძე

როდესაც პოლიტპატიმართა სიებზე დაიწყო საუბარი, ყველა აღნიშნავდა, რომ ამ სიების შედგენა კახა კუკავამ დაიწყო და ეს სიები 2006 წლიდან არსებობდა. იმის გასარკვევად, თუ რა წვლილი მიუძღვის „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერს ამ პროცესში, „ახალი თაობა“ აღნიშნულ საკითხებზე კახა კუკავას ესაუბრა.

– რამდენკაციანი იყო პოლიტპატიმართა სია?

– ეს იყო 190-კაციანი სია და ამას არანაირი კავშირი არა აქვს არც იმ 14 ათას პატიმართან, რომლებიც გამოვიდნენ ამნისტიით და არც იმ შეწყალების თემასთან, სადაც ნუგზარ ბოჭორიშვილისა და სხვათა გვარები სახელდება! ამ ხალხს არანაირი შეხება პოლიტპატიმართა სიასთან არა აქვს. პოლიტპატიმართა სიაზე ერთს კი დავძენდი – სანამ მადლობებს იხდიდნენ და სანამ გმირობაზე იყო ლაპარაკი, რომ აი პოლიტპატიმრები გამოუშვეს, მაშინ კახა კუკავას გვარი არავის გახსენებია. კითხვები რომ გაჩნდა, ახლა გავახსენდი ყველას. არა უშავს, ეგეც კარგია.

– რეალურად რა ხდება?

– მოგახსენებთ. 2007-ში, როცა დაიწყო ჩვენი მომხრეების დაპატიმრება, 7 ნოემბრის აქციის შემდეგ, ჩვენ დავიწყეთ ამ სიის შედგენა. თავიდან ეს იყო ოპერატიულად შედგენილი სია, სადაც მხოლოდ ჩვენი მომხრეები იყვნენ შეყვანილი. იმ ხალხის დიდი ნაწილი მალევე გაათავისუფლეს, რაღაც ნაწილი გაათავისუფლეს 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ და მაშინ გავიდა პირველად ტელეეთერში ინფორმაცია ამ სიის არსებობის შესახებ.

– ამის შემდეგ შეიყვანეთ სხვა პარტიის წარმომადგენლები სიაში?

– როდესაც ამ სიის არსებობის შესახებ გახდა ცნობილი, მასში შეყვანა მოინდომეს სხვა ადამიანებმაც, რომლებიც არ იყვნენ გაერთიანებული ოპოზიციის მომხრეები, მაგრამ საკუთარ თავს მიიჩნევდნენ ისინი პოლიტპატიმრებად.

– კონკრეტულად?

– მაგალითად, იგორ გიორგაძის მომხრეები, რომლებიც ამბობდნენ, თუ თქვენ პოლიტპატიმრების სიას ადგენთ, რატომ არა ვართ ამ სიაში ჩვენო. შემდეგ გამოჩნდნენ სხვებიც. ბუნებრივია, ამაზე გაერთიანებული ოპოზიცია ვერ მივიღებდით გადაწყვეტილებას, მით უფრო, რომ იქ იყო აზრთა სხვადასხვაობა ცალკეულ პატიმრებთან დაკავშირებით. ერთ-ერთი პირველი ნორა კვიციანი იყო კიდევ, რომელიც ამ სიაში შევიყვანეთ.

– შემდეგ როგორი სახე მიეცა ამ ყველაფერს?

– რადგან ჩვენ ვეღარ მივიღებდით გადაწყვეტილებას, გავუკეთეთ ამ ყველაფერს ორგანიზება, მოვიწვიეთ არასამთავრობო ორგანიზაციები, იყო ერთგვარი კომისიური ფილტრი. ამას ერქვა ჰელსინკის ჯგუფი. აქ იყვნენ უფლებადამცველები, ადვოკატები ეკა ბესელია იყო, ნანა კაკაბაძე, გელა ნიკოლაიშვილი. როდესაც კონკრეტული განაცხადი შემოვიდოდა, ამას უნდა გაევლო ამ კომისიის ფილტრი, არის ეს ადამიანი პოლიტიკური პატიმარი თუ არ არის. ეს სიები სისტემატურად ქვეყნდებოდა. 2012 წლის შემდეგ ვითარება შეიცვალა.

– შეცვლაში რას გულისხმობთ? როგორ შეიცვალა?

– 2012 წლის პირველ ოქტომბრამდე იქით გვიხდებოდა ამ ხალხის კუდში დევნა. კარგად მახსოვს, მუხროვანის ამბოხების მონაწილეები ლამის ძალით ჩავსვით სიაში, ისეთი შეშინებულები იყვნენ, ჩვენ არ გვინდა ამ სიაში, ეს მაინც ვერაფერს გვიშველისო. აი, ასეთი განწყობა იყო.

– რა მოხდა პირველი ოქტომბრის შემდეგ?

– არჩევნების შემდეგ დადგა რიგი და უცებ გამოჩნდა ასობით ადამიანი, რომლებსაც უცებ გაახსენდათ, რომ იყვნენ პოლიტიკური პატიმრები. იქ ყველაფერი ოპერატიულად ჩატარდა, მოხდა ფილტრაცია და სია დაიხურა. ითქვა, რომ ჩვენ ამ სიას უსაშველოდ ვერ გავზრდიდით. პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ თქვა, რომ შემდეგ კიდევ იქნება მეორე ეტაპი, რომელიც სხვა პროცედურით ჩატარდებოდა.

– ძველი სია უცვლელი სახით დარჩა?

– ეს სია გადაეგზავნა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს. მერე, სიმართლე გითხრათ, აღარც შემიმოწმებია, ზუსტად ვინ დაემატა ამ სიას. ისე, ვიღაცები დაემატნენ. ეს არ იყო დიდი რაოდენობა, მაგრამ ზუსტად ის სია არ ყოფილა, რომელიც ჩვენ გადავუგზავნეთ. ამ სიას ვიღაცები დაემატნენ, ვიღაცები მოაკლდნენ. ვინც მოაკლდა, ეს იყო კოჭოიას ჯგუფი. ჩვენთან გადაწყდა, რომ ისინი პოლიტპატიმრები იყვნენ, თუმცა ეს პარლამენტმა არ გაიზიარა.

– რატომ არ გაიზიარა?

– როგორც ამბობენ, ერთ-ერთი ქვეყნის საელჩოს რეკომენდაციით. გარდა ამისა, პარლამენტს გადაეგზავნა და პარლამენტმა არ გაიზიარა აგრეთვე ემზარ კვიციანის საკითხიც. ასე მიდიოდა ეს პროცედურა. რაც შეეხება კონკრეტულ პატიმრებს, ვინ ვინ იყო, ჩემი პარტიის წევრი მაგ სიაში სულ ერთი თუ ორი კაცი იყო. ყველა პოლიტიკურ პატიმარს ჰყავდა თავისი რეკომენდატორი და აქედან გამომდინარე თუ რაიმე შეკითხვები არსებობს რომელიმე პოლიტპატიმართან დაკავშირებით, ვინ არის, საიდან მოვიდა, რას მოღვაწეობდა, ამ რეკომენდატორებსა და წარმდგენებს უნდა მიმართონ.

– თქვენც ფიქრობთ, რომ ფული კეთდებოდა ამ სიების შედგენისას?

– არა! რა სიებიც ჩვენ გადავეცით, ეს გამორიცხულია! ამიტომაც მოგიყევით, რომ პირველ ოქტომბრამდე იქით დავდევდით და ლამის ვეხვეწებოდით, სიაში შეგვეყვანა. რა ფულის კეთებაზეა საუბარი. მუხროვანის საქმეზე კონფლიქტიც კი მოგვვიდა რამდენიმე ოჯახთან. პრეტენზია იყო მათი მხრიდან, რატომ ჩაგვსვით სიაშიო.

– თქვენ ხომ გადააგზავნეთ ეს სიები, რომლებმაც კორექტირება განიცადა. იქნებ მერე გაკეთდა ფული?

– მერე რა მოხდა, ნამდვილად არ ვიცი. ეს უკვე ცალკე საკითხია. ამ სიას რომ ვიღაცა დაემატა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ფული გადაიხადა ვიღაცამ. იყო ერთი ასეთი, ლევან მამალაძე, რომელსაც ჩვენი კომისიისთვის არასდროს მოუმართავს, ასევე გიგლა ბარამიძე, რომლებმაც პირველი ოქტომბრის შემდგომ ამ სიაში მოხვედრის სურვილი გამოთქვეს, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს ადამიანები ქრთამს იხდიდნენ ამაში. აქედან გამომდინარე, მე პასუხისმგე-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

მარგველაშვილმა მოწმეთა დაკითხვის წესის გადავადებას ხელი მოაწერა

საქართველოს პრეზიდენტი ხელს აწერს მოწმეთა დაკითხვის წესის გადავადებას 20 თებერვლამდე, რაც ტექნიკური მიზეზებითაა განპირობებული. ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა გიორგი კვერენჩხილაძემ 17 დეკემბერს საღამოს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, საქართველოს პრეზიდენტი ყურადღებით აკვირდებოდა და მომავალშიც დააკვირდება პარლამენტში მოწმეთა დაკითხვის წესთან დაკავშირებით მიმდინარე მსჯელობას და მისი პოლიტიკური გადაწყვეტილება ამ ძალიან მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით სწორედ მას შემდეგ გახდება ცნობილი, რაც პარლამენტი მოწმეთა დაკითხვის ახალ წესზე რეგულაციებს მიიღებს.

– დღეს საქართველოში გამოძიების პროცესი მოწმის დაკითხვასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 1998 წელს მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესი მოქმედებს. მიმდინარე წლის 31 დეკემბერს უნდა ამოქმედდეს 2009 წელს მიღებული სისხლის სამართლის ახალი კოდექსით გათვალისწინებული მოწმის დაკითხვის ახალი წესი, თუმცა გუშინ საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და გუშინვე წარუდგინა ეს ცვლილებები საქართველოს პრეზიდენტს, რომლის მიხედვითაც საქართველოს პარლამენტმა ნაცვლად 31 დეკემბრისა მოწმის დაკითხვის ახალი წესის ამოქმედების თარიღად 2016 წლის 20 თებერვალი განსაზღვრა, – განაცხადა კვერენჩხილაძემ.

მისივე თქმით, ამგვარი გადავადების მიზეზად როგორც განმარტებით ბარათში, ასევე კომიტეტებსა და პლენარულ სხდომებზე აღნიშნული იყო, რომ სახელდებოდა სასამართლო რესურსების გაზრდის აუცილებლობა და ასევე გარკვეული საბიუჯეტო რესურსების მოძიების აუცილებლობა.

– ამასთან დაკავშირებით მინდა შევეხო რამდენიმე გარემოებას. პირველ რიგში, გაურკვევლობას ბადებს საკითხი იმის თაობაზე, რომ მაშინ, როცა ამ ნორმის ანუ მოწმეთა დაკითხვის ახალი წესით ბოლო გადავადებიდან თითქმის 2 წელია გასული, რატომ არ მოხდა უფრო ადრე დროის რაციონალურად გამოყენების რეჟიმში იმ საჭირო მატერიალური თუ სამართლებრივი რესურსების მოძიება და გათვლა წინასწარ.

ასევე გაურკვეველია და კითხვებს ბადებს ის საკითხიც, რომ მოწმეთა დაკითხვის ახალი წესი 2009 წელს იქნა მიღებული და უკვე მეხუთეჯერ მოხდა ამ ნორმის გადავადება. ეს იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საკითხი ეხება საკმაოდ მნიშვნელოვან მოვლენასა და ზოგადად მოწმის იმ უფლებას, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვანია. ზოგადად სისხლის სამართლის კოდექსში და ზოგადად ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, გამომდინარე იქიდან, რომ პარლამენტში პარალელურ რეჟიმში განიხილება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებები, რომელიც ეხება მოწმის დაკითხვის ახალ წესს, ეს საკითხები უკვე მეორე მოსმენით საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მიერ არის მიღებული. ამ გარემოების გათვალისწინებით პრეზიდენტი ხელს აწერს 20 თებერვლამდე ტექნიკური მიზეზებით მოწმეთა დაკითხვის წესის გადავადებას, – აღნიშნა კვერენჩხილაძემ.

პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი პირობას დებს, რომ პრეზიდენტი მოწმეთა დაკითხვის წესთან დაკავშირებით პარლამენტში მიმდინარე მსჯელობას მომავალშიც დააკვირდება.

ზაზა ხატიაშვილი: „მურუსიძე სამართლიანი სასამართლოს მტერია“

გულიკო ბალაძე

ამ დღეებში ადვოკატთა ასოციაციის თაოსნობით იუსტიციის საბჭოს მდივან მურუსიძის წინააღმდეგ აქცია გაიმართა. მურუსიძე სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ გამწესებისთვის იბრძვის, არასამთავრობო ორგანიზაციები კი ამას მოსამართლედ მისი მუშაობის პერიოდში დაშვებული გადაცდომების გამო ეწინააღმდეგებიან.

– ბატონო ზაზა, დავინახე, პლაკატი გეჭირათ ხელში წარწერით: „მურუსიძე – სასამართლოს რუხი კარდინალი“ ანუ მურუსიძე რუხი კარდინალია?

– ჩემი შეფასებით, მურუსიძე არავინ არ არის. მურუსიძე არის სამართლიანი სასამართლოს მტერი. მურუსიძე ფიგურად ივანიშვილმა და ღარიბაშვილმა აქციეს.

– ივანიშვილმა და ღარიბაშვილმა როგორ აქციეს მურუსიძე ფიგურად?

– ივანიშვილი ერთი თვის მოსული იყო ხელისუფლებაში, მივიდა მურუსიძესთან და განაცხადა, ეს რა წესიერი კაცი გავიცანიო. ამ დროს ზუსტად ერთი თვის გამოსული იყო ევროსასამართლოს დადგენილება საქმეზე „მიქიაშვილი ნინო მიქიაშვილის ძმის წამების ფაქტთან დაკავშირებით“. მის წამებაში არაპირდაპირ მონაწილეობდა მურუსიძე?

– როგორ?

– მე გიორგი მიქიაშვილის წამების ფაქტზე ვითხოვდი ექსპერტიზის დანიშვნას. მურუსიძემ, ნაცვლად 24 საათისა, განიხილა 40 დღის დაგვიანებით, რომ წამების კვალი გაჰქრობოდა. ივანიშვილი კი მიდის და აცხადებს, ეს რა კარგი კაცი გავიცანიო. აქედან მურუსიძე კვლავ თავზე დაგვაჯდა ჩვენ. ჯერ სააკაშვილმა დაგვასვა თავზე, მერე – ივანიშვილმა.

– მურუსიძე შეხვდა დიპლომატიურ კორპუსსა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და მათთან განაცხადა, რომ მის წინააღმდეგ როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო სექტორი დაირაზმა.

– მის წინააღმდეგ იმიტომ დაირაზმნენ, რომ მას ხელი აქვს მოწერილი გირგვლიანისა და მოლაშვილის განაჩენსა და ბევრ გახმაურებულ საქმეზე. მურუსიძეს ეს ყველაფერი რომ შერჩა, ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა. მურუსიძეებს პასუხი უნდა ეგოთ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩეხოსლოვაკიაში ყველა მოსამართლე გაუშვეს და უთხრეს, თქვენ რეჟიმს ემსახურებოდითო. იმ მოსამართლეებისთვის მაინც უნდა მოეთხოვათ პასუხი, რომლებმაც გირგვლიანის საქმეზე გამოტანეს გადაწყვეტილება.

– კონსტიტუციაში წერია, რომ მოსამართლის დაპატიმრება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ დანაშაულის ფაქტზე წაასწრეს.

– ყველა მათგანისთვის ნიურნბერგის პროცესი უნდა მოგვეწყო. უნდა აგვეღო გადაწყვეტილებები, პროკურორების შუამდგომლობები პატიმრობის გამოყენების თაობაზე, მერე უნდა აგვეღო მოსამართლეების განჩინებები და ყველაფერი ნათელი იქნებოდა, პროკურატურის გაგზავნილ (დაკოპირებულ) გადაწყვეტილებებს რომ აწერდნენ ხელს. მადონა მილდიანი ადვოკატია. მის განჩინებაში დაწერეს, მერაბ ოქროპირიძემ ჩაიდინა დანაშაულიო. შეეშალათ, მოსამართლეშა ჩხიკვაძემ კი ბეჭედი დაარტყა. ისე გადმოწერა, არც წაუკითხავს. ეს ფაქტები უნდა ყოფილიყო საზოგადოების სამსჯავროზე, რომ ხალხს სცოდნოდა.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

„ნარმანიამ „ქართული ოცნება“ შოკში ჩააგდო“

ლევან ხაბეიშვილი: „ნარმანია ტაქსისტების კვლევაში რამდენიმე ათეულ ათასს ხარჯავს“

შორენა მარსაგიშვილი

რა „სიურპრიზებს“ უმზადებს დავით ნარმანია თბილისელებს მომავალი წლის ბიუჯეტით, რას ერჩიან საბავშვო ბაღის თანამშრომლებს, რა დაუჯდებათ თბილისელებს ახალი წლის შეხვედრა? – ამ საკითხებზე „ახალ თაობას“ მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ დამფუძნებელი ლევან ხაბეიშვილი ესაუბრება.

ლევან ხაბეიშვილი:

– 2016 წლის თბილისის ბიუჯეტის პროექტი ძალიან საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. როგორც მერია ამბობს, პროექტში ცვლილებები შეიტანეს. სინამდვილეში იქიდან მხოლოდ 2 საზოგადოებრივი ტუალეტი ამოიღეს. მათთვის ბიუჯეტიდან 100.000 ლარი იყო გამოყოფილი.

ბიუჯეტის პროექტი 387-გვერდიანია. ვინც დაინტერესდება და კარგად წაიკითხავს მას, ეგრევე მიხვდება რომ ის კორუფციულად მოტივირებულია და რაციონალურად გადანაწილებული არ არის.

ამ პროექტში გაწერილია რამდენიმე კვლევის დაფინანსება, რომელიც პირდაპირ კონტაქტსა და შემხებლობაშია დავით ნარმანიას მუშაობასთან, როდესაც ის სამოქალაქო სექტორში იყო და კვლევებს ატარებდა. ეს ადამიანი, ეტყობა, ვალშია თავის ყოფილ თანამშრომლებთან და კვლევების ჩატარებას აპირებს. საინტერესოა, რატომ უნდა გადავიხადოთ ჯიბეებიდან 70.000 ლარი იმისათვის, რომ თბილისელების ცხოვრების დონის შესახებ კვლევა ჩატარდეს.

– თბილისელების ცხოვრების დონის შესახებ ინფორმაციას მერია კვლევის გარეშე ვერ აგროვებს?

– ეტყობა. თუ თბილისელების ცხოვრების დონის შესახებ არაფერი იცოდა, რა უნდოდა, რას იყრიდა მერის პოსტზე კენჭს. რა საჭიროა ამ მიმართულებით კვლევის ჩატარება, როდესაც სოციალურად დაუცველების შესახებ მაგათ აქვთ მონაცემები. 2014 წელს 13.976 სოციალურად დაუცველი ადამიანი იყო ქალაქში, ვსაუბრობ იმათზე, ვინც უფასო სასადილოებში იკვებებოდა. 2016 წლის ბიუჯეტის პროექტში უფასო სასადილოები 32.000 ადამიანს მოემსახურება. გაჭირვებულთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

არსებობენ მაჟორიტარები, რომლებსაც აქვთ თავიანთი ბიუროები და ისინი უნდა იკვლევდნენ ხალხის ცხოვრების დონეს. ამ კვლევაში 70.000 ლარის გადახდა თბილისელების დაცინვაა.

ნარმანია მხოლოდ ამ კვლევას არ სჯერდება და კიდევ 2 კვლევის ჩატარებას აპირებს. ერთი მათგანს ასე ჰქვია – კარგი მმართველობის კვლევა. ბიუჯეტის პროექტში ვკითხულობთ, რომ მან ტაქსისტების კვლევაში 80.000 უნდა გადაიხადოს.

– ტაქსისტების კვლევა რას ნიშნავს?

– არ ვიცი, ეს ნარმანიამ უნდა ახსნას. ალბათ, გაუქნევენ ტაქსის ხელს, გააჩერებენ, შეიხედავენ და შეამოწმებენ, როგორ გამოიყურება მძღოლი. საინტერესოა, ამ კვლევის შემდეგ ტაქსისტებს სმოკინგის ჩაცმასა და მანქანაში ხარისხიანი დეზოდორანტის დასხურებას თუ დაავალდებულებენ. უკაცრავად და დედაქალაქს სხვა პრობლემები არა აქვს, რომ ტაქსიში არ ჩაუხტეს გაჭირვებულ ადამიანს? ჯერ სხვა პრობლემები მოაგვარონ და მერე მოსთხოვონ რაღაცები ტაქსისტებს.

ამ ბიუჯეტზე რომ გეუბნებით, კორუფციულად არის მოტივირებული-მეთქი, ამას გამგეობებიც ადასტურებენ. სამგორის გამგეობამ დაგეგმა, რომ მომავალ წელს რაიონში 40 ლიფტს გააკეთებენ. დოკუმენტებში ვკითხულობთ, რომ თითო ლიფტის საბაზო ღირებულება შეადგენს 4.500 ლარს. დიდუბის გამგეობაც 40 ლიფტის შეკეთებას აპირებს. ოღონდ მათ უწერიათ, რომ თითო ლიფტის ღირებულება შეადგენს 10.000 ლარს. მგონი, ძალიან ნათლად ჩანს, რომ აქ რაღაცაშია საქმე. სხვანაირად ვერაფრით ახსნი, თუ როგორ შეიძლება, დიდუბეში 2,5-ჯერ ძვირი იყოს ლიფტის შეკეთება, ვიდრე სამგორში. ეს ვიღაცებს ლავირების საშუალებას აძლევს.

იგივე ვითარებაა სახურავებთან დაკავშირებითაც. ქანებიან სახურავს კვადრატულ მეტრს ვაკის გამგეობა 14 ლარად აკეთებს, მაშინ როცა ნაძალადევში იმავე სამუშაოს შესრულება 30 ლარი ჯდება.

– ასეთ განსხვავებებს თქვენ რითი ხსნით?

– აქ ორი ამბავია, ან ცუდი მენეჯერები არიან და ეს ნამდვილად ასეა, ანდა პირდაპირ კორუფციაში არიან შესული. მერიის თანამშრომლებს რომ კორუფციის მიმართ მიდრეკილება აქვთ, ეს 16 დეკემბერსაც გამოჩნდა, როცა სამართალდამცავებმა ქრთამის აღების ფაქტზე მერიის თანამშრომელი დაიკავეს. ის სამსახურში ნარმანიას მერობის დროს დასაქმეს. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ის პიროვნება ეკა ბესელიას დაქალის ქმარი გახლავთ.

კარგია, რომ ქრთამის აღების ფაქტზე ხდება დაკავება, მაგრამ წვრილწვრილ თანამშრომლებს რომ დასდევენ მარტო, გამგებლებს მიხედონ, რომლებსაც საბიუჯეტო სახსრების განკარგვაზე პირდაპირ მიუწვდებათ ხელი და წარმოუდგენელ რამეებს აკეთებენ.

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან. სამგორის გამგეობას მომავალი წლის ბიუჯეტიდან 1.800.000 ლარი აქვს გამოყოფილი სოციალურად დაუცველების დასახმარებლად. ვაკის გამგეობას იმავე მიმართულებით გამოყოფილი აქვს 2.100.000. სამგორის რაიონში ცხოვრობს 150.000-მდე ადამიანი, ხოლო ვაკეში – 97.000. სამგორის რაიონში უფასო სასადილოებში 3.966 ადამიანი დადის, ხოლო ვაკეში – 1.400. სამგორში, ვაკესთან შედარებით, სამჯერ მეტი სოციალურად დაუცველი ცხოვრობს, მაგრამ ბიუჯეტი ვაკეს უფრო დიდი აქვს.

– რატომ, რადგან ვაკეა?

– რატომ? ახალ წელს ხომ გვანახეს, რატომაც. სამგორში მცხოვრებ სოციალურად დაუცველს უყიდიან ერთ ქათამს, ვაკეში მცხოვრებ ბენეფიციარს კი უყიდიან ქათამს, კვერცხს, ყავასა და შოკოლადს. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ბიუჯეტი კონკრეტული ადამიანების ჯიბეების გასქელებას ითვალისწინებს.

დავით ნარმანია გაიძახოდა, თბილისი ავარიული კორპუსების გარეშეო. ირაკლი შიხიაშვილმა 2014 წლის ბიუჯეტში ავარიული კორპუსებისთვის სიმბოლურად 41.000.000 ჩადო. მომავალი წლის ბიუჯეტში ეს ციფრი განახევრებულია და 2.000.000-ს შეადგენს.

სამაგიეროდ, გაიზარდა აიპების დაფინანსება, სადაც ნარმანიას ყოფილი მოადგილეები არიან დასაქმებული. მაგალითისთვის შეგვიძლია მარგიშვილის აიპის დაფინანსება მოვიყვანოთ. ასევე არ უნდა გამოგვრჩეს ალუდა გოგლიჩიძის აიპიც. მომავალ წელს მისი დაფინანსება 200.000-ით იზრდება. ესეც დასტურია იმისა, რომ ბიუჯეტი ცალკეულ პიროვნებებს არის მორგებული.

– თქვენ საახალწლო ღონისძიებებთანაც გქონდათ რაღაც პრეტენზიები და ამ მიმართულებით რა ხდება?

– საახალწლო ღონისძიებები ძალიან სასაცილო თემაა. ოპოზიციაში ყოფნისას „ქართული ოცნება“ წინა

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ლევან მამალაძე: „ბესელია და ხიდაშელი ბინძურ საქმეებს ჩადიან და ივანიშვილს მოვუნოდებ, გარიცხოს „ოცნებიდან“

ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორი ლევან მამალაძე პოლიტპატიმართა სიიდან მისი ამოღების ფაქტს, ერთი მხრივ, ფინანსურ გარიგებაზე უარის თქმით და, მეორე მხრივ, თინა ხიდაშელის ფაქტორით ხსნის.

როგორც მამალაძემ გუშინ ქართველ ჟურნალისტებთან სკაიპ-კონფერენციის დროს განაცხადა, მისთვის პოლიტპატიმრის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციებს პრეტენზია და კითხვის ნიშანი არ ჰქონიათ.

ლევან მამალაძე:

– ამ სიიდან ამოღება მოხდა შემდეგი გარემოებებით – 2012 წლის ნოემბერში, როდესაც განხილვები მიმდინარეობდა, ამას შემდეგ გარკვეული მინიშნებები მოჰყვა. კერძოდ, ჩემზე იყო გარკვეული მინიშნებები, რომ იცით რა, კომისიაში საკითხი განიხილება, მაგრამ თქვენთან გარკვეული ურთიერთობა უნდათ... მინიშნებები იყო მატერიალურ დაინტერესებაზე.

მან არ დაასახელა, თუ ვისი მხრიდან გაკეთდა ეს მინიშნება, თუმცა თქვა, რომ ეს პიროვნება ეკა ბესელიას ახლობელი იყო ფოთიდან.

მამალაძის თქმით, მას შემდეგ, რაც ის ბინძურ თამაშს არ ჩაჰყვა და ღია ეთერით განაცხადა, რომ არანაირ გარიგებაში არ შევიდოდა, სიიდან ამოიღეს.– როცა საკითხის გარკვევა დავიწყე, ბესელიას გარემოცვის მხრიდან მომაწოდეს ინფორმაცია, რომ ჩემი ამოღება მოხდა იმის გამო, რომ პირადად თინა ხიდაშელი ერეოდა საქმეში. როგორც კი დაინახეს, რომ მატერიალურ სარგებელს ვერ მიიღებდნენ, პოლიტიკურ რაკურსში გადაიტანეს ეს თემატიკა.

მომაწოდეს ინფორმაცია, რომ ხიდაშელი მისული იყო ბიძინა ივანიშვილთან, მხოლოდ ცუდი ილაპარაკა ჩემზე და დააფიქსირა, რომ ჩემი სიაში შეყვანა არ შეიძლებოდა, რადგან ჩამოვიდოდი და პოლიტიკურ პროცესებში ხელს შევუშლიდი, – განაცხადა ლევან მამალაძემ.

ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორი აცხადებს, რომ ის მხარს უჭერს ბიძინა ივანიშვილს, რომლის ზურგს უკან ამოფარებულები, ეკა ბესელიას თუ თინა ხიდაშელის სახით, ბინძურ საქმეებს ჩადიან და ექსპრემიერს მოუწოდებს, ადამიანები, რომლებიც მის სახელს ბღალავენ, „ქართული ოცნებიდან“ გარიცხოს.

ინტერპრესნიუსი

თბილისში 22 მაჟორიტარული ოლქი იქნება, რამდენიმე რაიონს კი ერთი მაჟორიტარი ეყოლება

პარლამენტში იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე „საარჩევნო კოდექსში“ ცვლილებების პროექტს მეორე მოსმენით განიხილავენ, რომელშიც საარჩევნო ოლქების გადანაწილება თავიდან მოხდა.

ცვლილებების მიხედვით, თბილისისა და გარდაბანი-მარტყოფის მაჟორიტარული ოლქები ერთიანდება და დედაქალაქს 18 მაჟორიტარული ოლქის ნაცვლად 22 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი ექნება. ასევე 2 საარჩევნო ოლქით იქნება წარმოდგენილი რუსთავის მუნიციპალიტეტი, ხოლო ქუთაისისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტებში გაერთიანებული რამდენიმე სოფელი 3 მაჟორიტარული ოლქით იქნება წარდგენილი.

წინა ვერსიისგან განსხვავებით, ვანსა და ხონს ერთი მაჟორიტარი დეპუტატი ეყოლებათ, ხოლო სამტრედიასა და წყალტუბოს ცალ-ცალკე თითო-თითო მაჟორიტარი დეპუტატი.

ცვლილებით მესტიას ცალკე მაჟორიტარი დეპუტატი არ ეყოლება და გაერთიანებულ ფორმატში – ამბროლაურს, ონს, ლენტეხს, მესტიასა და ცაგერს ერთი მაჟორიტარი დეპუტატი ეყოლება.

პროექტის მიხედვით, დუშეთ-თიანეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების გაერთიანება მოხდება და ეს საარჩევნო ოლქები ერთი მაჟორიტარი დეპუტატით იქნება წარმოდგენილი.

ბათუმისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში შემავალ სოფლებს – ხალას, ჩაისუბანს, საჩივნოს, ჩაქვსა და ციხისძირს 3 საარჩევნო ოლქი ექნება, ხოლო აღნიშნული სოფლების გარდა, ქობულეთის მუნიციპალიტეტს კიდევ 1 მაჟორიტარული ოლქი ექნება.

ინტერპრესნიუსი

კახა კუკავა: „მანანა კობახიძემ პარლამენტი უნდა დატოვოს!“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ბელი ვარ იმაზე, რომ ის სია, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებდით და პრესკონფერენციებს ვმართავდით, იწარმოებოდა 2006-2007 წლიდან მოყოლებული 2012 წლამდე.

– დღევანდელ სიტუაციაზე როგორია თქვენი შეფასებები? ვინ ტყუის, ელისაშვილი თუ ბესელია-კობახიძე?

– რაც შეეხება დღევანდელ ვითარებას, მე მაქვს მოსაზრება, რომ უნდა არსებობდეს დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი. ახლა რომელიღაცა ჟურნალისტი რომ გამოვა და კონკრეტული პირის გვარს დაასახელებს, ავიღოთ თუნდაც ნუგზარ ბოჭორიშვილი, რა, ვინმემ დაადგინა, რომ ბოჭორიშვილი ნარკობარიგაა თუ ვინმემ დაადგინა, რომ უდანაშაულოა?! სოსო თოფურიძის მიერ ჩატარებულ გამოძიებას თუ ვენდობით, მაშინ ნახევარი საქართველო უნდა ჩავსხდეთ ციხეში. ჩვენ გვყავს იმპოტენტი პროკურატურა.

– პროკურატურას რაღას ერჩით?

– ამ ხელისუფლების მთავარი პასუხისმგებლობა ის არის, რომ ვერ ჩატარდა ამ საქმეზე ინდივიდუალური გამოძიება. ელისო კილაძე კი არ უნდა გვეუბნებოდეს ჩვენ, ნუგზარ ბოჭორიშვილი და კიდევ სხვა გვარებს რომ ასახელებენ, ბარიგები არიან თუ არ არიან. პროკურატურა მთელი სამი წელი რას აკეთებდა?! უნდა ჩაეტარებინა გამოძიება, ზოგიერთ საქმეზე უნდა დაედგინა გამამართლებელი განაჩენი.

– კონკრეტულად რომელ საქმეებზე?

– მაგალითად, ნორა კვიციანის საქმეზე! ნორა კვიციანი დღესაც ითვლება, რომ ბანდიტია, გათავისუფლებული ბანდიტი, თორემ საქართველოს სახელმწიფო ორგანოებს, სასამართლოსა და პროკურატურას, ის არ გაუმართლებია, ისევე, როგორც არ გაუმართლებიათ ირაკლი ბათიაშვილი. ასევე უნდა ჩაეტარებინათ გამოძიება და, თუ ვინმე დამნაშავეა, უნდა დაედგინათ, რომ ის არის დამნაშავე. ეს გამოძიება არ ჩატარდა, ამიტომაც არის ახლა, რომ შეწყალების კომისია, პრესა და ტელევიზია არკვევს მათ დამნაშავეობასა თუ უდანაშაულობას. მე მანანა კობახიძის მიმართ არა ვარ ცუდად განწყობილი, მაგრამ, ვფიქრობ, რომ მანანა კობახიძემ პარლამენტი უნდა დატოვოს.

– რატომ უნდა დატოვოს, რა დააშავა?

– იმიტომ, რომ მან ორი დიდი, მნიშვნელოვანი დარღვევა ჩაიდინა. მე თუ მკითხავთ, მანანა კობახიძე ნამდვილად ყველას სჯობია მაგ პარლამენტში თავისი წესიერებითაც და პატიოსნებითაც.

– მაშინ, რაღას ერჩით?

– უბრალოდ, ეს არის პრინციპი. თუ მანანა კობახიძის მიმართ ვერ დავიცავით ეს ორი პრინციპი, ვერც სხვა შემთხვევაში დავიცავთ. ორი პრინციპი დაარღვია მან, ერთი ნაკლებად მნიშვნელოვანი, ხოლო მეორე – ძალიან მნიშვნელოვანი. ერთი, რომელიც მან დაარღვია, ინტერესთა კონფლიქტის პრინციპია.

– რომელიც რას გულისხმობს?

– გულისხმობს იმას, რომ შენ თუ გაქვს კომერციული ინტერესი რაღაც საქმეზე, ან ნათესაური ინტერესი, ან სხვა ტიპის, არ უნდა გამოიყენო შენი სახელმწიფო ძალაუფლება ამ საკითხზე. ეს არის ანბანი ნებისმიერ სახელმწიფო სტრუქტურაში.

– ანუ საკუთარი დაცვის ქვეშ მყოფის ლობირება არ უნდა დაეწყო?

– რა თქმა უნდა!

– რა უნდა ექნა მანანა კობახიძეს?

– თუ ქალბატონი მანანა იღებდა ჰონორარს ნუგზარ ბოჭორიშვილისგან, მას უნდა გაეგზავნა შეწყალების კომისიისთვის წერილი, როგორც ნუგზარ ბოჭორიშვილის ადვოკატს. მეორეა ბევრად უფრო მნიშვნელოვანი დარღვევა, რომელიც თითქმის დანაშაულს უტოლდება.

– ასეთი რა დარღვევაა?

– მე მოვისმინე ქალბატონი მანანას კომენტარი, როდესაც მან განაცხადა, ბოჭორიშვილი უდანაშაულო იყო, მაგრამ პროკურატურაში ვერ მოვაგვარე საქმე და ამიტომ გამოვიყენე შეწყალებაო. ეს ქმედება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს. შეწყალება არ არის ადამიანის უდანაშაულობის მტკიცება. ჰუმანური მოსაზრებების გამო ვშუამდგომლობთ ამა თუ იმ პირს, რომ ვადამდე გათავისუფლდეს.

დავით დარჩიაშვილი: „ივანიშვილი ხან ელისაშვილის მხარეს იქნება, ხან – კობახიძის“

ნათია ხურცილავა

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის წევრი დავით დარჩიაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ალეკო ელისაშვილის მიერ გახმოვანებული სკანდალი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე გავლენას იქონიებს.

დავით დარჩიაშვილი:

– ის, რასაც ამ ხელისუფლებაზე ვფიქრობდი, ყოველდღიურად დასტურდება. ეს არის ხელისუფლება, რომლის უმაღლეს პირებს წარმოდგენა არ აქვთ, რას ნიშნავს სახელმწიფოს მართვა, ინტერესთა კონფლიქტი, სახელისუფლებო შტოებს შორის გამიჯვნა და ა.შ. საზოგადოების გარკვეული ნაწილის გაუთვითცნობიერებლობით სარგებლობენ და თავს ახვევენ იმ მოსაზრებას, რომ თითქოს სახელმწიფოს დემოკრატიულად მართავენ. არადა, საერთოდ არ ესმით, რას ნიშნავს დემოკრატიული მმართველობა და თანამედროვე პოლიტიკა.

– რას გულისხმობთ?

– იმას, რომ ქალბატონი კობახიძე ვერ ასხვავებს ერთმანეთისგან კერძო საადვოკატო პრაქტიკასა და პარლამენტის ვიცესპიკერის თანამდებობას. ეს არის სწორედ იმის ნიმუში, რომ მათი აზროვნება ფეოდალური სტილისაა, იმ ეპოქის, როდესაც პროფესიები ერთმანეთისგან საერთოდ გაუმიჯნავი იყო. ის ვერ ხვდება, რომ ინტერესთა კონფლიქტია, როდესაც ამ თანამდებობაზე ზის და ძველ კლიენტებს იხსენებს. არ ვსაუბრობ იმაზე, რომ ის კლიენტები ნარკობარიგები იყვნენ თუ ვინ, კარგად ვიცი.

ადვოკატის პროფესია მოითხოვს, რომ ნებისმიერი ადამიანი დაიცვას და არავინ არ არის დამნაშავე, სანამ მას დანაშაულს სასამართლო არ დაუმტკიცებს, მაგრამ თანამდებობის, ტრიბუნისა და მდგომარეობის გამოყენება კლიენტების დახმარების მიზნით მიუღებელი და დაუშვებელია. ეს ქცევა ნორმალური არ არის თანამედროვე, დემოკრატიული კანონის უზენაესობის პრინციპებიდან გამომდინარე.

– თქვენი გუნდის წევრი აკაკი მინაშვილი ითხოვს, მანანა კობახიძემ უფლებამოსილება შეიჩეროს, ინტერესთა კონფლიქტიდან გამომდინარე. თქვენც ეთანხმებით?

– რა თქმა უნდა. თუ გული შესტკივა, თუ მიაჩნია, რომ მისი კლიენტის მიმართ უსამართლობას ჰქონდა ადგილი, ასევე, თუ მას ვალდებულებები აქვს აღებული თავისი კლიენტის მიმართ, მაშინ უნდა ჩამოშორდეს დროებით მაინც და ობიექტურად წარიმართოს პროცესი.

მე არ ვამბობ, რომ ახლა აქვს ფული აღებული. ეს ალეკო ელისაშვილმა დაამტკიცოს, მაგრამ საადვოკატო მომსახურების დროს ხომ აქვს ფული აღებული, ე.ი. აქვს ვალდებულებები. დღეს სახელმწიფო თანამდებობიდან იმავეს გაგრძელება არ შეიძლება. შეიძლება გული შესტკიოდეს, მაგრამ ამისთვის თანამდებობას ნუ გამოიყენებს.

– ის ამბობს, რომ ამ შემთხვევაში არა როგორც კლიენტის, არამედ მოქალაქის, ამომრჩევლის საქმე მოიკითხა.

– რას ბრძანებთ, ადამიანს აქვს სამსახურებრივი და ფინანსური ვალდებულება კლიენტების მიმართ, ახლა თანამდებობაზეა და იქიდან ცდილობს ამას, ეს კი დაუშვებელია, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, არაეთიკურია. ეს იმას ჰგავს, მე რომ ლექტორი ვიყო და ჩემი სტუდენტისგან ფული მქონდეს აღებული, რაც მეორე სტუდენტს არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენებს. კობახიძის ეს პოზიცია სხვა ადამიანებს არათანაბარ მდგომარეობაში აგდებს.

– პროკურატურისგან რას ელოდებით?

– არაფერს არ ველოდები, რადგან იქ ზის შოთაძე, რომელიც ფარცხალაძის მეგობარია, ორივე ერთად კი – ივანიშვილის. რას უნდა ველოდე ამათგან. ამ პროცესში ერთი ძალიან მნიშვნელოვანი რამ გამოიკვეთა: ამ ადამიანებს არ ესმით თავიანთი ფუნქციისა და არც თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობის პრინციპები. მე ერთი რამ ცხადად ვიცი: თუ ამ ადამიანების ხელში დარჩა ქვეყანა, უკან და უკან წავა.

შეიძლება სადმე სოფელი ან ხეობა მართო ასე, რომელსაც გარედან აქვს დოტაცია, მაგრამ სახელმწიფო ასე არ იმართება და მით უფრო – ვერ აშენდება. რაც არ უნდა გვიკიჟინონ, იმ 9 წელს მიხედეთ, სადაც დანაშაული ხდებოდაო, დიახ, ხდებოდა, მაგრამ სწორდებოდა, ნელ-ნელა ამოვდიოდით უგაზობა-უშუქობის ჭაობიდან. ასეთი მმართველობით შეიძლება მხოლოდ რუსეთის ნაწილი იყო, მაგრამ არა – სუვერენული სახელმწიფოს დემოკრატი მმართველი. მე ეს მაშფოთებს და არა ის, ელისაშვილმა რა უთხრა კობახიძეს და კობახიძემ კიდევ – ბესელიას.

– თქვენ ივანიშვილი ახსენეთ. ამ პროცესში ივანიშვილის პოზიცია როგორი შეიძლება იყოს?

– ეს კაცი, როგორც ჩანს, იმით ცხოვრობს და სუნთქავს, რომ ყველა ყველას დაუპირისპიროს, ხან ელისაშვილის მხარეს იქნება და ხან – კობახიძის, ოღონდ ორივე გამოჭერილი ჰყავდეს.

– დღეს ვის მხარეს არის, როგორ ფიქრობთ?

– არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით. მთავარია, თვითონ არქიფო სეთურივით იჯდეს. ერთი კი დანამდვილებით ვიცი, რომ ეს კარგს არაფერს მოგვიტანს ჩვენ, როგორც სახელმწიფოსა და მის მოქალაქეებს. ეს არის სისტემური პრობლემა. თუ ეს სისტემა არ შეიცვალა, ასე ვიქნებით პიროვნებებზე დამოკიდებული და ეს არ დამთავრდება.

– 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ეს სკანდალი „ქართული ოცნების“ რეიტინგზე გავლენას იქონიებს?

– სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოება ბოლომდე ვერ ამჩნევს და ვერ აცნობიერებს იმ წყლულებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანას სჭირს. ამას მთლად თვალნათლივ ვერ ამჩნევენ, მაგრამ გრძნობენ, რომ ის ელიტა, რომელიც დღეს ქვეყანას მართავს, აბსოლუტურად უუნაროა, რომ ქვეყანა წინ წასწიოს. ხალხი გრძნობს, რომ ეს ხელისუფლება ვერ შექმნის სამუშაო ადგილებს, ვერ შეასრულებს გაცემულ დაპირებებს, ვერ იცხოვრებს უფრო კარგად, ვიდრე დღეს ცხოვრობს. აშკარაა, რომ ამას ხალხი ხედავს და ეს სკანდალიც, ბუნებრივია, აღრმავებს ამ ნიჰილიზმს, მაგრამ ორი არჩევანი აქვს გასაკეთებელი: კობახიძემ არ იცის ქვეყნის მართვა და ერთმანეთისგან ვერ გაურჩევია კანონის უზენაესობა პირადი ინტერესებისგან, აქვე ელისაშვილი რაღაცას ბაქიბუქობს, მაგრამ მერე რა არჩევანი უნდა გააკეთოს, ეს ვერ გადაუწყვეტია.

– ბატონო დავით, ამბობენ, რომ ელისაშვილი ნაციონალური მოძრაობის ინტერესებს ატარებს. შეიძლება ასეც იყოს?

– კარგით, რა, აბსოლუტურად არ მჯერა ამის. ნაციონალური მოძრაობის ინტერესია, ეს მანკიერი წრე გაირღვეს, ჩვენი წარსული შეცდომები გავაანალიზოთ და აღარ დავუშვათ. ისე, არ დაგიმალავთ, რამდენადაც „ოცნება“ თავს მოიჭრის, ჩვენთვის უკეთესია. ჩვენ ვითხოვთ, პარლამენტში შეიქმნას სისტემური კორუფციის ნიშნების შემსწავლელი კომისია, მაგრამ პასუხად წივილ-კივილი მივიღეთ, გაიძახიან, თქვენს 9 წელს მიხედეთო. კი სწავლობენ აგერ უკვე ოთხი წელია იმ ცხრა წელს, მაგრამ, რა შეისწავლეს, ვხედავთ. ასე ეს ხელისუფლება დიდხანს ვერ გაატანს, მაგრამ ახლა არჩევანი საზოგადოებაზეა.

პროკურატურამ ე.წ. შეწყალების საქმეზე ყოფილი მთავარი პროკურორი გიორგი ბადაშვილი დაკითხა

პროკურატურამ ყოფილი მთავარი პროკურორი და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსი გიორგი ბადაშვილი დაკითხა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსმა გიორგი გრძელიშვილმა განუცხადა, ბადაშვილი ე.წ. შეწყალების საქმეზე დაიკითხა.

გრძელიშვილის განმარტებით, გიორგი ბადაშვილი პროკურატურაში გუშინ იმყოფებოდა.

მისი თქმით, ბადაშვილმა გამოძიებასთან საქმის შესახებ მისთვის ცნობილი გარემოების თაობაზე ისაუბრა.

ინტერპრესნიუსი

ირაკლი სესიაშვილი: „სანაკოევი პროვოკაციაზეა“

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი პანკისის ხეობაში „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლების მობილიზაციის შესახებ ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელ დავით სანაკოევის განცხადებას პროვოკაციად აფასებს.

სესიაშვილი ვარაუდობს, რომ ამ ტიპის განცხადებების მიზანია ერგნეთის მოლაპარაკებები ჩაიშალოს, ან დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა არ მოხდეს.

ირაკლი სესიაშვილი:

– ეს არის აბსოლუტურად პროვოკაციული განცხადება. ყველამ ძალიან კარგად იცის, მათ შორის დე ფაქტო ხელისუფლებებმა, რომ დღეს საქართველოში არ არის ის ხელისუფლება, რომელიც სახელმწიფო ტერორიზმით არის დაკავებული. ეს არის აბსოლუტურად შორს რეალობისგან. ამიტომ, მათი ეს განცხადება შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც მხოლოდ პროვოკაციული, მიზანმიმართული იმისკენ, რომ ერგნეთის მოლაპარაკებები ჩაიშალოს, ან არ დადგეს ძირითადი საკითხები, რაც მოსახლეობას და სახელმწიფოს აწუხებს.

ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის სამუშაო ჯგუფის წლის ბოლო შეხვედრის დასრულების შემდეგ ოსური დელეგაციის ხელმძღვანელმა დავით სანაკოევმა განაცხადა, რომ პანკისის ხეობაში „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლების მობილიზაცია ხდება, რაც ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე განთავსებულ რუსულ სამხედრო ბაზას იქ მყოფ მესაზღვრეებს საფრთხეს უქმნის.

მისივე მტკიცებით, „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები გააქტიურებასა და თავდასხმებს ახალი წლის დღეებში გეგმავენ, მათი სამიზნე კი რუსეთის მესაზღვრეები, საქართველოს სამართალდამცავები და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მონიტორები არიან.

ინტერპრესნიუსი

„ნარმანიამ „ქართული ოცნება“ შოკში ჩააგდო“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ხელისუფლებას სულ საყვედურობდა, რომ საახალწლო ღონისძიებებისთვის მილიონებს ხარჯავდნენ, გაიძახოდნენ, ხალხმა განათება და კონცერტი ჭამოსო? მოვიდნენ თუ არა ხელისუფლებაში, უარესებს აკეთებენ.

მიმდინარე წლის 25 თებერვალს მერიამ 700.000 ლარის მომსახურებაზე გააფორმა კონტრაქტი, რომელიც სცენის მოწყობას, მის განათებასა და აპარატურით უზრუნველყოფას გულისხმობს. ეს მომსახურება ამ ორგანიზაციამ მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა გაუწიოს.

ახლა გამოაცხადეს ახალი ტენდერი, რომელიც, ჯამში, 1.200.000 ლარს შეადგენს. ის სცენის აწყობას, მის განათებას, აპარატურით აღჭურვას, საგრიმიოროებსა და კარვებს ითვალისწინებს. მართლა ვერ ვხვდები, რა საჭირო იყო ახალი ტენდერის გამოცხადება სცენის მომსახურებაზე, როცა ის მიმდინარე წლის თებერვალში უკვე იყიდეს? ფაქტობრივად, 2.000.000 გვიჯდება მარტო სცენა.

– მერია რა განმარტებებს აკეთებს?

– მერიას ამაზე პასუხი არა აქვს. ჩვენ შეგვიძლია, მხოლოდ ვარაუდები გამოვთქვათ. შესაძლოა, ერთსა და იმავე მომსახურებას ორჯერ ყიდულობენ, რაც სერიოზული კორუფციაა. შესაძლოა გამოვიდნენ და გვითხრან, რომ წინასწარ ატარებენ ტენდერს და 2017 წლის დადგომისთვის ემზადებიან. რა დროს 2017 წელია. საახალწლო განათებაზე 720.000 ლარი დახარჯეს, რომელიც მერე ხან აანთეს, ხან ვერ აანთეს, ზოგან ქოლგა ჩამოუვარდათ, ზოგან – ოთკუთხედი.

ცალკე თემაა გამგეობების მიერ დაგეგმილი საახალწლო ღონისძიებები. ისნის გამგეობა ცალკე აღნიშნავს ახალ წელს და 30.000-იანი ტენდერი აქვთ გამოცხადებული. ვაკის გამგეობაც ცალკეა და იუმორისტულ ღონისძიებას ატარებენ.

გამგეობები და მერია კულტურის სახლებად გადაიქცა, ბოლო დროს ჭადრაკის სასახლის ფუნქციაც შეითავსეს. ჭადრაკის ჩემპიონატის ჩატარებას ვინ ჩივის, ახლა დომინოსა და კრივზე გადავიდნენ. სულ გაგიჟდნენ მგონი და მომსახურების ზონიდანაც გასული არიან, თან იმდენად შორს, რომ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი მანანა კობახიძეც კი შოკში ჩააგდეს.

– რატომ და სად ჩავარდა კობახიძე შოკში?

– რუსთავი 2-ის ეთერში გააკეთა მან ნარმანიაზე განცხადება. ეს ქალი მერის ქმედებებით შოკშია. მისი თქმით, ერთ ქალს ნარმანიასთან 3 კვირაა განცხადება აქვს შეტანილი, მაგრამ არავინ პასუხობს, არადა, ის ადამიანი მტკვარში აპირებს გადახტომასო. ხომ ფიქრობდნენ ვიღაცები, რომ მხოლოდ ხაბეიშვილი იყო ნარმანიაზე გადაკიდებული. აგერ, ხომ გადაირია კობახიძეც.

– საბავშვო ბაღებში არსებულ ვითარებაზეც ბევრს წერთ სოციალურ ქსელებში და იქ რა ხდება?

– საშინელება. ახლაც, როცა ამ ინტერვიუს გაძლევთ, 169-ე ბაღში მივდივარ, რომელიც ვარკეთილში მდებარეობს. ამ ბაღის დირექტორი ფიქრია ჩახნაშვილი მხოლოდ იმიტომ გაათავისუფლეს, რომ მან პოლიტიკური დაკვეთა არ შეასრულა.

– რა პოლიტიკურ დაკვეთაზეა საუბარი?

– მას ძველი თანამშრომლების გაშვება და მათ ადგილას „ქართული ოცნების“ აქტივისტების დანიშვნა მოსთხოვეს. ფიქრია ჩახნაშვილმა სასამართლოში შეიტანა სარჩელი და მას აუცილებლად მოიგებს. მის ადგილზე ახალი დირექტორი დაინიშნა, რომელიც საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატ ია მაკასარაშვილის დაქალია. ია მაკასარაშვილი ის ქალია, რომელმაც ივანიშვილს დავით აღმაშენებელი უწოდა. მაკასარაშვილის დაქალმა, თავის მხრივ, ბარბარობა დღეს ბაღიდან 3 თანამშრომელი გაუშვა. ამ ადამიანებს ბაღში მუშაობის 10-15-წლიანი სტაჟი აქვთ.

ცოტა ხნის წინ პირველი ლოგოპედიური ბაღის დირექტორი გაათავისუფლეს და იქ სასწავლო პროცესი ჩაიშალა. დირექტორის გათავისუფლება მშობლებმა და პედაგოგებმა გააპროტესტეს.

– რატომ დაერივნენ საბავშვო ბაღებს?

– იმიტომ, რომ „ქართული ოცნება“ არჩევნებისთვის ემზადება. ბაღის თანამშრომლების გათავისუფლების საქმეში სუს-ია ჩარეული. სამსახურიდან უშვებენ მათთვის მიუღებელ ადამიანებს და მათ ადგილას „ქართული ოცნების“ აქტივისტებს ასაქმებენ.

ყველას მოგეხსენებათ, რომ საბავშვო ბაღებში საარჩევნო უბნები თავსდება ხოლმე და, შესაბამისად, ადგილებზე ხელისუფლებას სანდო ადამიანები სჭირდება. ბაღის თანამშრომლებს საარჩევნო სისტემაც აბარიათ. რისი ეშინიათ, არ ვიცი. ეგ ადამიანები იყვნენ კომისიის წევრები და თავმჯდომარეები, როცა „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნები მოიგო.

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

მალხაზ დოლიძე: „ფქვილისთვის ვიტამინების დამატებამ შეიძლება ჯანმრთელ ადამიანებში უკუჩვენება გამოიწვიოს“

ლალი დავითური

მუშავდება ხორბლის პურზე ტექნიკური რეგლამენტი. გაეროს ბავშვთა ფონდის რეკომენდაციით, ხორბლის ფქვილის რკინითა და ფოლიუმის მჟავით გამდიდრება შესაძლოა სავალდებულო გახდეს. მზადდება კანონპროექტი, რომელიც ხორბლის ფქვილში ვიტამინების დამატებას ითვალისწინებს. რამდენად არიან მზად პურპროდუქტების მწარმოებლები ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად, გამოიწვევს თუ არა ეს ხარჯების გაზრდას? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ესაუბრა პურპროდუქტების მწარმოებელთა ასოციაციის თავმჯდომარე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი მალხაზ დოლიძე.

მალხაზ დოლიძე:

– ფარმაცევტულ ფირმებს შეშურდებათ, ისეთი ხასიათი მიიღო პურის მეშვეობით სხვადასხვა დაავადების მკურნალობამ, თუ გნებავთ, პროფილაქტიკამ. არ შეიძლება ერთი ხელის მოსმით ასეთი საკითხების მეცნიერული დაკვირვების, კვლევისა და ექსპერიმენტების გარეშე შემოღება.

ყველამ ხომ არ იცის, რომ ფოლიუმის მჟავას მთელი რიგი უკუჩვენებები გააჩნია – იწვევს ალერგიულ მოვლენებს, ხელს უწყობს ეპილეფსიურ გულყრებს და შესაძლებელია თირკმლებში კენჭებიც წარმოიქმნას, ამიტომაც პროდუქციაში მასობრივად „წამლის“ შეტანა, დიახ, „წამლის“ შეტანა, დაუშვებელია და ამას მრავალი მეცნიერი სრულიად სამართლიანად ამტკიცებს.

– მაგრამ სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ამ კომპონენტების ნაკლებობა ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის, განსაკუთრებით – ორსულებსა და ბავშვებს. ის იწვევს უმძიმეს პათოლოგიებს, მათ შორის გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაში ჩამორჩენას.

– მესმის, რომ პური ყველასთვის ხელმისაწვდომი პირველადი პროდუქტია, მაგრამ მასობრივად ყველას არ სჭირდება ლაბორატორიული რკინა ან იოდიზებული მარილი, თუნდაც ფოლიუმის მჟავა, რომელიც საქართველოში ნებისმიერ მწვანილშია და ამის დეფიციტი ამ ქვეყანაში არ არის.

მართალია, შეიძლება ფეხმძიმე ქალებისათვის ფოლიუმის მჟავა (დაბალი ღირებულების) საჭირო წამალია, მაგრამ, ვინც ორსულად არ არის, იმას რას ვერჩით.

– ე.ი. თქვენი აზრით, პურის ფორსიფიცირებამ შეიძლება ჯანმრთელ ადამიანებში უკუჩვენებები მოგვცეს?

– დიახ. მეცნიერები გვაფრთხილებენ, რომ ქიმიური ვიტამინი რეაქტივია და, თუ ადამიანი ჯანმრთელია, მასზე საწამლავივით მოქმედებს.

დავაკვირდეთ ერთ გარემოებასაც, საქართველოში იოდიზებული მარილი მასობრივად მოიხმარება და ჩიყვის პრობლემებმა არ იკლო, ისევე, როგორც განხორციელდა ანემიის პროგრამა და ანემიები კვლავ დაუმარცხებლად ტირაჟირდა. სამწუხაროდ, დასკვნები და სტატისტიკა სათანადოდ არ ხორციელდება, რაც ასე აუცილებელია, თუმცა მომდევნო პროგრამას ეყრება საფუძველი, იხარჯება თანხები, ძვირადღირებულ სემინარებსა და ტელეგადაცემებში სიტყვასა და დროს არ იშურებენ.

არსებობს წამლის მიღების ფარმაკოლოგიური და ფარმაცევტული მეთოდები პეროლარული გზით. კეთილი ინებონ და ამ მეთოდებზე გადართონ ყურადღება. თუ მაინცდამაინც პურით სურთ ამის გაკეთება, არსებობენ ტენდერში გამარჯვებული ფირმები და მათ დაამზადონ ასეთი ადამიანებისთვის წამლით გამდიდრებული პური.

– თუ ახალი წლიდან ამუშავდება ხორბლის პურზე ტექნიკური რეგლამენტი, რომლის თანახმადაც, პროდუქციას, რომელიც ფორტიფიცირებულია ანუ მასში რაიმე დანამატია, შესაბამისი ანოტაცია უნდა გაუკეთდეს. ეს დამატებით ხარჯებს ხომ არ გამოიწვევს?

– რა თქმა უნდა, ხარჯები გაიზრდება და მე ვეკითხები პროგრამების ხელმძღვანელებს, ვინც პურის მასობრივად ფორტიფიცირების მომხრენი არიან: იციან თუ არა იმის შესახებ, ვინ გადაიხდის თითოეულ შეფუთვაზე ანოტაციის ღირებულებას, რომელიც, მე რომ მკითხოთ, საერთოდ მიუღებელია, რადგანაც პური 230 გრადუსზე ცხვება და ადვილად აქროლადი მჟავები მასში არავითარ პროფილაქტიკურ ეფექტს არ იქონიებს.

შოტლანდიელი მეცნიერი დაკუერტი წიგნში „წყალი კვების პროდუქტებში“ 1980 წელს წერს, მონომოლეკულები ასი გრადუსის ზევით ორთქლდება. ასეთი დანამატების შეტანა პროდუქციის შესაფუთი მასალის გაძვირების მეტს არაფერს მოიტანს და რა აზრი აქვს ამის გაკეთებას.

საკანონმდებლო ინიციატივა ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა დაამუშავა, მაგრამ კანონპროექტის განხილვამდე იმავე კომიტეტმა დამატებითი ახალი კვლევების ჩატარება მოითხოვა, რათა ზუსტად განისაზღვროს, რომელი მიკროელემენტების დეფიციტია მოსახლეობაში და მხოლოდ მტკიცებულებებზე დაფუძნებული კვლევის შემდეგ შეიძლება კანონპროექტის ინიცირება.

თბილისის გარეუბნების უმეტესი ნაწილი საახალწლო განათებების გარეშე დარჩება

თბილისის გარკვეულ უბნებში საახალწლო განათებები წელს არ დამონტაჟდება.

მერიის ინფორმაციით, ილუმინაციებით არ მოირთვება როგორც დედაქალაქის გარეუბნების უმეტესი ნაწილი, ისე ზოგიერთი ცენტრალური ქუჩა.

უფრო კონკრეტულად, ოფიციალური ინფორმაციით, ილუმინაციებს, რომლებიც საახალწლოდ გასულ წლებში გამოიყენებოდა, წელს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა და ის მხოლოდ ვაჟაფშაველასა და ყაზბეგის გამზირზე, პეკინის ქუჩაზე, ფილარმონიისა და ტელევიზიის მიმდებარედ კოსტავას გამზირზე, ვახუშტის ხიდზე, გლდანულის შესასვლელში, მუხიანში დუმბაძის ქუჩაზე, ნაძალადევში – გადასასვლელი ხიდიდან კინო „საქართველომდე“, ბუშის ქუჩაზე, ქეთევან წამებულის გამზირზე და შარტავას ქუჩაზე დამონტაჟდა.

ილუმინაციები „ანგელოზები“ დაიდგა მარჯანიშვილის მოედანზე. შესაბამისად, საახალწლო განათება არ დამონტაჟდება გლდანში, ვარკეთილში, თემქაზე, ვაზისუბანში, ისანში, ავლაბრის ნაწილში, დიდუბეში – წერეთლის გამზირზე, ასევე დიღმის მასივში, დიდ დიღომში და ა.შ.

რაც შეეხება წელს შეძენილ ილუმინაციებს, ახალი განათებებით მოირთო თბილისის ცენტრალური ნაწილი: რუსთაველის გამზირი, ჭავჭავაძის გამზირი, მელიქიშვილის გამზირი, კოსტავას და თამარაშვილის ქუჩა და ავლაბრის აღმართი.

დედაქალაქის საახალწლო განათებასა და ცენტრალური ნაძვის ხის მორთვაში წელს მილიონ ლარამდე თანხა დაიხარჯება.

ბიპიენი

ქარელში წარმოებული ჩირი ევროპულ ბაზარზე გასასვლელად ემზადება

ქარელში ჩირის გადამამუშავებელი ქარხანა გაზაფხულზე, სავარაუდოდ, მაისში გაიხსნება და ადგილობრივ თუ საექსპორტო ბაზარს მაღალი ხარისხის პროდუქციით მოამარაგებს.

ამის შესახებ „ბიზნესპრესნიუსს“ საწარმოს დირექტორმა გიორგი კვირიკაძემ განუცხადა.

გიორგი კვირიკაძის განცხადებით, ამ ეტაპზე საქართველოში ჩირის წარმოება ძალიან მცირე რაოდენობით ხდება და ბაზარზე იმპორტირებული პროდუქცია ჭარბობს. მაღალი ხარისხის, ევროპული სტანდარტებით შეფუთული პროდუქცია სულ მალე როგორც ადგილობრივ, ისე საექსპორტო ბაზარზე გავა.

მისივე თქმით, მოლაპარაკებები ევროპის რამდენიმე ქვეყანასთანაა დაწყებული. მათ შორის განიხილება გერმანია, ისრაელი და უკრაინა.

ქარელის აგროინდუსტრიული საწარმო ხილს არა მხოლოდ საკუთარი ბაღებიდან, არამედ ადგილობრივი მოსახლეობიდანაც მიიღებს.

ქარხნის სრულად გამართვისთვის, საერთო ჯამში, მილიონ ლარზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა. აქედან 650 ათასი ლარი სამაცივრე მეურნეობისა და გადამამუშავებელი დანადგარების შეძენასა და დამონტაჟებაში დაიხარჯა.

გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტით, გიორგი კვირიკაძემ მთლიანი ღირებულების 40% სახელმწიფოსგან გრანტის სახით მიიღო, 50% შეღავათიანი აგროკრედიტი დაუმტკიცდა, პირის თანამონაწილეობამ კი 10% შეადგინა. საწარმო სრულად მაისში ამოქმედდება და მასში პირველ ეტაპზე 30 ადამიანი დასაქმდება.

ბიპიენი

საქართველოში ბიზნესგანწყობის ინდექსი შემცირდა

საქართველოში ბიზნესგანწყობის ინდექსი სკალაზე 14-დან 11-მდე შემცირდა.

ISET-ის მიერ წარმოდგენილი 2015 წლის მეოთხე კვარტლის კვლევის თანახმად, კლება განსაკუთრებით შეეხო სავაჭრო და საფინანსო სფეროს. პარალელურად, გაზრდილია სოფლის მეურნეობის სექტორის განწყობა.

კვლევის მიხედვით, გაცვლითი კურსის განმეორებითი და მოულოდნელი რყევის შედეგად ბიზნესსექტორის მოლოდინების გადაფასება მოხდა, რამაც ინდექსი 34-დან 16-მდე დასწია. მესამე კვარტალთან შედარებით, გაზრდილია ფასების ინდექსი, რის მიზეზადაც კვლევის ავტორები ახალი წლის მოახლოებას ასახელებენ.

კვლევაში აღნიშნულია, რომ ბიზნესგანწყობა გაუმჯობესდა მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის, მაგრამ მსხვილი საწარმოებისთვის გაუარესდა.

ISET ბიზნესის კეთების ძირითად შემზღუდველ ფაქტორად არასაკმარის მოთხოვნას ასახელებს. კვლევის მიხედვით, არასტაბილური მოთხოვნის პირობებში ფუნქციონირება განსაკუთრებით სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესს უჭირს.

კვლევაში მონაწილეობა, ჯამში, 207-მა კომპანიამ მიიღო.

ზურაბ ჭიაბერაშვილი: „ჯანდაცვის სამინისტრომ მარტოხელა მოხუცებს შემწეობა მოუხსნა“

საარსებო შემწეობის მიმღებ პირთა რაოდენობა 506.245-დან 377.971 მოქალაქემდე შემცირდა.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობის მდივან ზურაბ ჭიაბერაშვილის განცხადებით, ჯანდაცვის სამინისტრო მარტოხელა პენსიონერებისთვის სოციალური შემწეობის მოხნას აგრძელებს.

როგორც ზურაბ ჭიაბერაშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, 2013 წლის იანვრიდან საარსებო შემწეობის მიმღებ პირთა რაოდენობა 506 245-დან 377 971 მოქალაქემდე შემცირდა.

ზურაბ ჭიაბერაშვილი:

– 2015 წლის ივლისში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საზოგადოების ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტს, რომ 2013 წლის იანვრიდან საარსებო შემწეობის მიმღებ პირთა რაოდენობა 506.245-დან 377.971 მოქალაქემდე შემცირდა.

2013 წლის იანვრიდან 2015 წლის ივნისის ჩათვლით, ჯანდაცვის სამინისტრომ საარსებო შემწეობა მოუხსნა 30.000 პენსიონერს, რომელთაგან ნახევარზე მეტი მარტოხელაა და უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს.

ჯანდაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს საჯარო შეპირების მიუხედავად, სიღარიბეში მცხოვრებ პენსიონერთათვის სოციალური შემწეობის მოხსნის პროცესი არც ივლისის შემდეგ გაჩერებულა.

სოციალური შემწეობის მიმღები 60 წელს ზემოთ ასაკის მოსახლეობა კიდევ 6.000-მდე ადამიანით შემცირდა. ამდენითვეა შემცირებული იმ ოჯახთა რაოდენობა, სადაც 1 ან 2 წევრია, რაც ადასტურებს, რომ სერგეენკოს მიერ შემოღებული მეთოდოლოგიის სამიზნე ისევ და ისევ მარტოხელა მოხუცები არიან.

სოციალური შემწეობის მიმღები მოსახლეობის ხარჯზე ივანიშვილის მთავრობამ 2015 წლის იანვრიდან დღემდე 15 მლნ ლარი დაზოგა, რაც ზღვაში წვეთია ჩინოვნიკების მიერ აღებული პრემიებისა და დანამატების ფონზე.

მისივე თქმით, ეს ხდება მაშინ, როდესაც ივანიშვილის მთავრობის არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის გამო სულ უფრო მეტი და მეტი ოჯახი ვარდება უკიდურეს სიღარიბეში, როდესაც გაძვირებულია სურსათი და წამალი ანუ პენსიონერების ძირითადი მოხმარების პროდუქტი.

– ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ ადასტურებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მოთხოვნის სამართლიანობას, რომ პენსია 50 ლარით გაიზარდოს. ამასთან, აუცილებელია, რომ საარსებო შემწეობა აღუდგეს სოციალურად დაუცველ ყველა ოჯახს, რომელიც დავით სერგეენკოს არასწორი პოლიტიკის გამო უსახსროდ დარჩა.

ინტერპრესნიუსი

ნავთობის ფასი დაეცა

აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ რეფინანსირების განაკვეთის ზრდის ფონზე, მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი დაეცა.

„ბლუმბერგის“ ინფორმაციით, ლონდონის ბირჟაზე „ბრენტის“ მარკის ნავთობის ფასი 0,26 დოლარით შემცირდა და ბარელზე 37,13 დოლარი შეადგინა.

ნიუ იორკის სასაქონლო ბირჟაზე კი 0,12 დოლარით – ბარელზე 37,39 დოლარამდე დაეცა WTI-ის ნავთობის ფასი.

ამასთან ერთად, გუშინ აშშ-ის კონგრესის ლიდერებმა შეთანხმებას მიაღწიეს კანონპროექტზე, რომელიც ამერიკიდან ნავთობის ექსპორტზე ემბარგოს გაუქმებას ითვალისწინებს. კანონპროექტზე კენჭისყრა კონგრესში დღეს გაიმართება, რის შემდეგაც სენატში გადაიგზავნება.

ბიპიენი

პატრიოტთა ალიანსისა და რესპუბლიკელების კონფლიქტმა ევროპაშიც გადაინაცვლა

მარიამ მჭედლიშვილი

სტრასბურგსა და ბრიუსელში გამართულ შეხვედრებზე საქართველოს პატრიოტთა ალიანსის ლიდერებმა ევროპელ პოლიტიკოსებსა და ჩინოსნებს გააცნეს საქართველოში 31 ოქტომბერს ჩატარებული შუალედური არჩევნების მიმდინარეობა და შედეგები.

პარტიის თავმჯდომარე დავით თარხან-მოურავი აცხადებს, რომ ევროპელმა კოლეგებმა მიიღეს დამატებითი ინფორმაცია იმაზე, რომ შუალედური არჩევნები გაყალბდა, რაშიც, ალიანსის მტკიცებით, გადამწყვეტი მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკურმა პარტიამ ამ პარტიის წევრი მინისტრების – თავდაცვისა და გარემოს დაცვის უწყებების ხელმძღვანელების თინა ხიდაშელისა და გიგლა აგულაშვილის მეშვეობით. გაირკვა, რომ ალიანსზე ევროპაში რესპუბლიკებსაც უსაუბრიათ. რესპუბლიკელების შეფასებები პატრიოტთა ალიანსის მისამართით ევროპაშიც არასახარბიელო იყო.

დავით თარხან-მოურავი:

– რესპუბლიკელებმა ჩვენზე ილაპარაკეს, თითქოს ევროპული ძალა არ ვართ, თითქოს რუსული ძალა ვართ. სტრასბურგსა და ბრიუსელში გვიწევდა იმის ახსნა, რომ ეს ასე არ არის, რომ ჩვენ ქართული ძალა ვართ. ვფიქრობთ, ჩვენ ამას მოვერევით ევროპაში. ამაზე კიდევ ვიმუშავებთ. მთავარი ისაა, რომ მათ დაინახეს – ვინც ჩვენ ცილს გვწამებდა და იარლიყებს გვაკერებდა, თვითონ არის მატყუარა და გამყალბებელი. როცა მატყუარა და გამყალბებელი რაღაცას გეუბნება, იმისადმი ნდობა დაბალია. ჩვენი მუშაობა გაგრძელდება ამ მიმართულებით.

თავის მხრივ, ალბათ, აქტიურობას არ შეანელებენ რესპუბლიკელები, რომლებიც აცხადებენ, რომ საგარეჯოში რესპუბლიკელი კანდიდატის გამარჯვებით ამოივსო ევრაზიული ხვრელი.

პატრიოტთა ალიანსი არ გამორიცხავს გაზაფხულზე ფართომასშტაბიანი შიმშილობის აქციის განახლებას. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ არ დაკმაყოფილდა პარტიის მოთხოვნები საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების თაობაზე. პარლამენტის უმრავლესობის ლიდერებმა შიმშილობის მე-16 დღეს პირობა დადეს, რომ მოშიმშილეების წინადადებებს ოფიციალურად განიხილავენ. აქცია ამის შემდეგ შეწყდა.

პარტიის თავმჯდომარე აზუსტებს, რომელია მათი მთავარი მოთხოვნები:

– არჩევნებში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება უნდა იყოს სისხლის სამართლის დანაშაული. ვინც ადმინისტრაციულ რესურსს გამოიყენებს, ციხეში უნდა ჩაჯდეს. მეორე საკითხია საარჩევნო კომისიები. მესამე – არჩევნებში მონაწილეობა სავალდებულო უნდა გახდეს. ამაზე მიმდინარეობს მუშაობა ცალკე მიმართულებით. ეს მუშაობა უნდა გააქტიურდეს. თუ ეს არ გამოვა, მაშინ თავიდან იქნება შიმშილობა.

საარჩევნო გარემოს შეცვლას სხვა პარტიებიც მოითხოვენ. ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა მაჟორიტარული სისტემის გაუქმებაა. პატრიოტთა ალიანსი ამას არ ეწინააღმდეგება:

– შეიძლება, აქედან მთლად ის შედეგი ვერ მივიღოთ, რომელსაც მოველით. სხვის შრომას არ ვითვისებთ. ჩვენ სხვა მოთხოვნები გვაქვს.

პატრიოტთა ალიანსი ხელისუფლებას მკაცრად აკრიტიკებს. თარხან-მოურავის აზრით, თუ ადრე ხელისუფლება უუნარო იყო, ახლა ამას უსინდისობა დაემატა:

– ხელისუფლებას არ შეუსრულებია დაპირებები, რომელიც ეხება დამნაშავეთა დასჯას, წართმეული ქონების დაბრუნებას, ეკონომიკურ ზრდას. ამას დაემატა დანაშაული. არჩევნების გაყალბება ძალიან დიდი დანაშაულია.

მისი სიტყვებით, ხელისუფლებამ იმ გაჭირვებული ადამიანების დაპურების პრობლემაც კი ვერ მოაგვარა, რომლებიც შიმშილობენ.

თარხან-მოურავი აცხადებს, რომ თანამდებობებზე დანიშნეს იმ პირები, რომლებსაც არც არაფრის ცოდნა აქვთ, არც დამსახურება. ეს ჩინოსნები მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობენ.

შს მინისტრმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალური ვიზიტი დაასრულა

გიორგი მღებრიშვილის ოფიციალური ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში დასრულდა. სამინისტროს დელეგაციის შემადგენლობაში ასევე შედიოდნენ შს მინისტრის მოადგილეები და სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტის ხელმძღვანელები.

ვიზიტის ფარგლებში გიორგი მღებრიშვილმა მაღალი დონის შეხვედრები გამართა აშშ-ის სამართალდამცავი უწყებების ხელმძღვანელ პირებთან, მათ შორის: აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორ ჯეიმს კომეისთან; აშშ-ის სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობების საერთაშორისო ბიუროს უფროსთან, სახელმწიფო მდივნის მოადგილე უილიამ ბრაუნფილდთან;

აშშ-ის ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელ ჩაკ როზენბერგთან; აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს დირექტორ კენეტ მეიერსთან და ჯორჯიის შტატის საგამოძიებო ბიუროს დირექტორ ვერნან ქანანთან.

გიორგი მღებრიშვილმა ამერიკელ სამართალდამცველებთან გამართულ შეხვედრებზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ბოლო პერიოდში განხორციელებულ პროექტებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ უწყებამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის განვითარების კუთხით, როგორც საკანონმდებლო, ასევე ინსტიტუციონალურ დონეზე. შს მინისტრის თქმით, საქართველო უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს აშშ-სთან მჭიდრო თანამშრომლობას ორგანიზებული დანაშაულისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. გიორგი მღებრიშვილმა ამერიკულ მხარეს მადლობა გადაუხადა სამართალდაცვით სფეროში წლების განმავლობაში გაწეული დახმარებისა და თანამშრომლობისთვის.

აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს ხელმძღვანელმა ჯეიმს კომეიმ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაღრმავების სრული მხარდაჭერა გამოხატა და განაცხადა, რომ ამერიკული მხარე მზადაა, საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის თანამშრომლებისა და გამომძიებლების გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში დაეხმაროს.

აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს დირექტორმა კენეტ მეიერსმა შს მინისტრთან შეხვედრისას აღნიშნა:

– ჩვენ ვამაყობთ საქართველოს მთავრობის წარმატებითა და თქვენთან ურთიერთობით. საქართველო არის სანიმუშო მაგალითი რეგიონში უსაფრთხოების დაცვისა და განვითარების კუთხით.

გიორგი მღებრიშვილთან გამართულ შეხვედრაზე აშშ-ს სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობების საერთაშორისო ბიუროს წარმომადგენლებმა მზადყოფნა გამოთქვეს, უწყების განვითარების პროცესში საკუთარი წვლილი მომავალშიც შეიტანონ. მათ მხარი დაუჭირეს დაგეგმილ რეფორმებს და შემუშავებული პროექტების დეტალებით დაინტერესდნენ.

შს სამინისტროს დელეგაცია ასევე ეწვია საქართველოსთან დაძმობილებულ ჯორჯიის შტატსა და ადგილობრივ სამართალდამცველებთან შეხვედრები გამართა. მხარეებმა ორი ქვეყნის საპოლიციო უწყებებს შორის არსებული თანამშრომლობა შეაჯამეს და სამომავლო გეგმები დასახეს.

აშშ-ში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ვიზიტის დეტალებით ადგილობრივი მედიასაშუალებებიც დაინტერესდნენ. ჟურნალისტებთან ინტერვიუების დროს გიორგი მღებრიშვილმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ამერიკელი და ქართველი სამართალდამცველების წარმატებულ თანამშრომლობასა და მის მნიშვნელობაზე.

შსს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამის კომპონენტებზე საინფორმაციო კვირეულს იწყებს — ქულათა სისტემა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი მღებრიშვილის ინიციატივით, შს სამინისტრომ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროექტი შეიმუშავა. პროგრამა სხვადასხვა მნიშვნელოვანი კომპონენტისაგან შედგება.

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პრევენციული მიმართულების გაძლიერების მიზნით შემოდის მართვის მოწმობაზე მინიჭებული ქულათა სისტემა.

საყურადღებოა, რომ მსგავსი მოდელი მსოფლიოს 21 ქვეყანაში, ასევე, ამერიკის შეერთებულ შტატებში, წარმატებით მოქმედებს და აღნიშნული კანონპროექტი სწორედ დასავლეთში აპრობირებული მექანიზმის ძირეულ შესწავლასა და ანალიზს ეფუძნება.

გვსურს განვმარტოთ, რომ პროექტის თანახმად, ყოველი კალენდარული წლის 1 იანვარს მართვის მოწმობას 100 ქულა მიენიჭება, რომელიც ძალაში იქნება იმავე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

საგზაო მოძრაობის სფეროში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა გამოიწვევს მართვის მოწმობაზე მინიჭებული ქულების შემცირებას, ხოლო ქულათა რაოდენობის მთლიანად ამოწურვა – მართვის უფლების გაუქმებას (შეწყვეტას).

ასეთ შემთხვევაში, მართვის უფლების ხელახალი მოპოვებისთვის მოქალაქემ შესაბამისი კატეგორიის თეორიული გამოცდა უნდა ჩააბაროს. გამოცდის ჩაბარებას ის მართვის უფლების გაუქმებიდან 2 თვის შემდეგ შეძლებს.

აქვე გვსურს განვმარტოთ, რომ ქულების შემცირება არ მოხდება ვიდეორეგისტრატორისა და უკონტაქტო პატრულირების დროს გამოწერილი ქვითრით. დამრღვევ მძღოლს ქულები მხოლოდ საპატრულო პოლიციის თანამშრომლის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული დარღვევისთვის შეუმცირდება. აღსანიშნავია, რომ ქულების დაკლება მოხდება საჯარიმო ქვითრის გამოწერის პარალელურად. მაგალითად, მუხლი 1.181 – ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოძრაობისას მძღოლის ან მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობა, აღნიშნული მუხლის დარღვევის შემთხვევაში, მგზავრს 100 ქულიდან გამოაკლდება 10 ქულა და ამასთან დაჯარიმდება 30 ლარით.

რაც შეეხება კონკრეტულ დარღვევაზე ქულების მინიჭების კრიტერიუმებს, სამინისტრომ პროგრამის შემუშავებისას გაითვალისწინა საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება და ქულების ოდენობა თითოეულ დარღვევაზე განისაზღვრა ამა თუ იმ დარღვევის რისკიდან და მისი ინტენსივობიდან გამომდინარე.

მართვის მოწმობისთვის მინიჭებული ქულათა სისტემის ეფექტიანად ამოქმედების მიზნით, მათ შორის, ელექტრონული სისტემის დანერგვის, ქულათა მინიჭების, მათი შემცირებისა და ამოწურვის, აგრეთვე, მართვის უფლების მქონე პირთა წინასწარი ინფორმირებისათვის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო უზრუნველყოფს შესაბამისი ადმინისტრირების წესების შემუშავებასა და დამტკიცებას.

საფრანგეთში ქართველი კაპიტანი დააკავეს

საფრანგეთში საქართველოს საელჩო მოლდოვის დროშის ქვეშ მცურავი გემის ქართველი კაპიტნის, ბადრი ბერიძის დაკავებასთან დაკავშირებით ადგილობრივ სამართალდამცავებთან მუდმივ კონტაქტზეა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, თუმცა მათი განმარტებით, თავად დაკავებულს არ სურს, რომ საფრანგეთის შსს-მ მასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსულოს ინფორმაცია მიაწოდოს.

– საფრანგეთში საქართველოს საკონსულო დაუკავშირდა საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს, თუმცა მისი მხრიდან საკონსულოში აღნიშნული მოქალაქის დაკავების თაობაზე ოფიციალური ინფორმაცია ამ დრომდე არ შემოსულა, რადგან თავად დაკავებულს არ სურს გამჟღავნდეს მისი ვინაობა და საკონსულოს მიეწოდოს ინფორმაცია მისი დაკავების თაობაზე, – აცხადებენ საგარეო საქმეთა სამინისტროში.

საფრანგეთის საზღვარზე მოლდოვის დროშის ქვეშ მცურავი გემის ქართველი კაპიტანი ბადრი ბერიძე დააკავეს. არსებული ინფორმაციით, დაკავებისას გემზე 2,4 ტონა კოკაინი აღმოაჩინეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს პირველმა მოადგილე ზაზა მახარაძემ განუცხადა, დაკავების მიზეზებთან დაკავშირებით ოფიციალური ინფორმაცია ჯერჯერობით არ ვრცელდება.

რაც შეეხება გემზე ნარკოტიკული ნივთიერების აღმოჩენას, მისი განმარტებით, ამის შესახებ ინფორმაციას ინტერნეტში, იმ ვებგვერდზე გაეცნო, სადაც საზღვაო საკითხების შესახებ წერენ.

ზაზა მახარაძის თქმით, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დახმარების თხოვნით დაკავებული კაპიტნის ოჯახმა უკვე მიმართა.

ზაზა მახარაძე:

– 14 დეკემბერს კაპიტნის შვილმა, გიორგი ბერიძემ წერილობით გვაცნობა, რომ მოლდოვის დროშის ქვეშ მცურავ გემ „კარიბ პალმზე“ დასაქმებულ ბადრი ბერიძეს შეექმნა პრობლემა და გვთხოვა დახმარება. როგორც კი ოჯახის წევრმა მოგვმართა, დავუკავშირდით საგარეო საქმეთა სამინისტროს და საფრანგეთში საქართველოს საელჩოს, ვაცნობეთ მეზღვაურის პრობლემის შესახებ და ვთხოვეთ, მოეპოვებინათ ოფიციალური ინფორმაცია და ეცნობებინათ ჩვენთვის და ოჯახის წევრისთვის. ჩვენი მიმართვის საფუძველზე საფრანგეთში ჩვენმა საელჩომ მიმართა ადგილობრივ სამართალდამცავ უწყებებს. ამ მომენტისთვის ინციდენტის ოფიციალური დეტალები ჩვენთვის უცნობია.

ინტერპრესნიუსი

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

ამერიკელი რესპუბლიკელები და რუსული პრობლემა

ლას-ვეგასში აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატების (რესპუბლიკური პარტიიდან) მორიგი ტელედებატები შედგა. მათი თემა ტერორიზმთან ბრძოლა და ეროვნული უსაფრთხოება იყო. ეს საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული „რუსეთის პრობლემასთან“, რომელიც უკანასკნელ ხანს გამწვავდა.

– პუტინის რუსეთი დასავლეთს მკვეთრად დაუპირისპირდა, რაც დემოკრატიულ სამყაროს საპასუხო ზომების გატარების აუცილებლობის წინაშე აყენებს.

წამყვანმა ამერიკელ რესპუბლიკელებს შეკითხვა დაუსვა: რა ვუყოთ რუსეთს, ვლადიმერ პუტინი საერთაშორისო სამართალს არას დაგიდევთ და ხულიგანივით იქცევაო.

ყველა კანდიდატმა აღნიშნა, რომ რუსეთის შეჩერება აუცილებელია, თუმცა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა შეაჩერონ რუსეთი, ყველას განსხვავებული მოსაზრებები გააჩნდა.

– აუდიტორიას განსაკუთრებით აინტერესებდა დონალდ ტრამპის შეხედულებები, რომელიც რესპუბლიკელთა შორის ჯერჯერობით ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობს.

ტრამპი არაერთგზის აცხადებდა, რომ პუტინთან საერთო ენას გამოძებნიდა. ასეთმა განცხადებებმა მის



პოპულარობაზე საკმაოდ იმოქმედა და რაღაც მომენტებში ტრამპმა პირველი ადგილი დაკარგა. ამჯერად ტრამპი პუტინისადმი დითირამბებს მოერიდა. მან განაცხადა, რომ ასადი, რასაკვირველია, ცუდი ბიჭია და ის უნდა წავიდეს, მაგრამ ახლა მთავარი „ერაყისა და ლევანტის ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლაა.

– ერთდროულად ორ ფრონტზე ომი შეუძლებელია. გამომდინარე აქედან, ამ ეტაპზე ასადის საკითხმა მეორე პლანზე უნდა გადაიწიოს და მთელი ძალისხმევა ტერორისტების განადგურების წინააღმდეგ უნდა მივმართოთ, – თქვა ტრამპმა.

სამშენებლო მაგნატმა ხაზი გაუსვა, რომ ასადის უკან რუსეთი დგას. ასადთან ბრძოლაც ფაქტობრივად რუსეთთან დაპირისპირებას ნიშნავს.

– როგორც ჩანს, ამას ვერ ავცდებით, – განაცხადა ტრამპმა, – მაგრამ ეს რაც შეიძლება გვიან უნდა მოხდეს.

პრეზიდენტობის კანდიდატმა კვლავ გაიმეორა თავისი ძველი თეზისი, რომ პუტინთან აუცილებელია მოლაპარაკებები, მაგრამ, იმასაც ხაზი გაუსვა, რომ ამერიკამ ეს მოლაპარაკებები ძალის პოზიციებიდან უნდა აწარმოოს.

– წარმატებას მხოლოდ ამ შემთხვევაში მივაღწევთ, – აცხადებს ტრამპი.

ამრიგად, თვით ტრამპის გამოსვლებშიც კი რუსეთის მიმართ კრიტიკული ნოტები გაისმა. რესპუბლიკელთა სხვა კანდიდატებს შორის ანტიმოსკოვური საომარი რიტორიკა აშკარად დომინირებდა. ასე მაგალითად, ოჰაიოს შტატის გუბერნატორმა კეისიმ განაცხადა:

– დროა, რუსებმა ცხვირ-პირში მიიღონ!

ფლორინ კარლინამ თავის გამოსვლებში რუსების ეროვნულ ხასიათზე დაწვრილებით ისაუბრა. მან თქვა, რომ თავაზიან და კულტურულ მოპყრობას რუსი სისუსტედ აღიქვამს. მას მხოლოდ ძალის ენა ესმის.

ვლადიმერ პუტინი თავისი ერის ღვიძლი შვილია, ამიტომ მხოლოდ ერთ არგუმენტს, ძალას აღიარებს, მით უმეტეს, რომ რუსეთის პრეზიდენტი კადრის ჩეკისტია, რამაც მისი მენტალიტეტი განსაზღვრა.

– რუსებთან ძალის პოზიციებიდან უნდა ვილაპარაკოთ. სხვაგვარად არაფერი გამოვა, – თქვა კარლინამ.

ნიუ-ჯერსის გუბერნატორმა კრისტიმ განაცხადა, რომ სირია არასაფრენ ზონად უნდა გამოცხადდეს ანუ უნდა ჩამოაგდონ ნებისმიერი თვითმფრინავი, რომელიც ამ რეჟიმის დარღვევას გაბედავს.

– პუტინი მხოლოდ მას შემდეგ წავა დათმობაზე, როცა მაგრად გაილახება, – თქვა კრისტიმ.

ჯეფ ბუშმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ თუკი პრეზიდენტად აირჩევენ, მისი ყველა გამოსვლა საღ ანალიზს დაექვემდებარება, ინფორმაციას არა სატელევიზიო პროგრამებიდან, არამედ ექსპერტებიდან მიიღებს.

– ამერიკელ ხალხს დავარწმუნებ, რომ გადაწყვეტილებები, რომლებსაც მივიღებ, ერთადერთი და სწორი იქნება, – თქვა ჯეფ ბუშმა.

განსხვავებული იყო კონექტიკუტის შტატის სენატორ რენ პოტლის მოსაზრება. რუსეთს რომ ძალის პოზიციებიდან უნდა ელაპარაკონ, ის დაეთანხმა, მაგრამ სირიის არასაფრენ ზონად გამოცხადების იდეა კატეგორიულად დაგმო.

– ეს გზა მესამე მსოფლიო ომამდე მიგვიყვანს! დიახ, რუსებს ძალის პოზიციებიდან უნდა ველაპარაკოთ, მაგრამ ეს სიგიჟეს როდი ნიშნავს, – თქვა პოტლმა.

რუსეთი და აშშ ისლამურ სახელმწიფოს ფინანსებს ერთობლივად დაუბლოკავენ

რუსეთი და აშშ განაგრძობენ ერთობლივ ღონისძიებებს „ერაყისა და ლევანტის ისლამურ სახელმწიფოს“ დასაბლოკად. ამის თაობაზე გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ იუწყება.

საუბარია გაეროს რეზოლუციაზე, რომელიც „ერაყისა და ლევანტის ისლამურ სახელმწიფოს“ ისეთივე ტერორისტულ ორგანიზაციად განიხილავს, როგორადაც ალ-ქაიდას, თალიბანსა და ა.შ. რეზოლუცია ამ ტერორისტული ორგანიზაციის ფინანსური საქმიანობის ბლოკირებას ითვალისწინებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

– რუსეთი და აშშ ატარებენ ერთობლივ ღონისძიებებს ტერორისტების გასანადგურებლად. მიმდინარეობს მოლაპარაკებები სირიის მომავლისა და პრეზიდენტ ასადის ბედზე.

აჰმეტ დავუთოღლუ: „თურქეთის ჯარის ერაყში ყოფნა აუცილებელია!“



თურქეთის პრემიერმა დავუთოღლუმ განაცხადა, რომ თურქეთის არმიამ ერაყში წარმატებით მოიგერია ისლამისტი ტერორისტების თავდასხმა. ექსტრემისტების ყველა პოზიცია განადგურებულია, თუმცა თავად თურქ მეომრებს შორისაც არის მსხვერპლი.

– თავდასხმა ჩვენს მეომრებზე კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ერაყში ჩვენი ჯარის ყოფნა აუცილებელია!

თურქეთმა რუსული გემები დააკავა

თურქეთი თავის ტერიტორიაზე მყოფ რუსულ გემებს აკავებს. ამის თაობაზე „დოიჩე ველე“ იუწყება. ფორმალური მიზეზი აუცილებელი დოკუმენტების არქონაა.

– სინამდვილეში რუსული გემების დაკავება მოსკოვ-ანკარას შორის გამწვავებული ურთიერთობები და რუსეთის მიერ თურქეთისათვის დაწესებული სანქციებია.

პროფესორი კატცი: „რუსეთ-აშშ-ს შორის ძირეული გარღვევა ვერ მოხდება“

კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორმა კატცმა განაცხადა, რომ ქერის მოსკოვურმა ვიზიტმა რუსეთ-აშშ-ს ურთიერთობებში ძირეული გარღვევა ვერ მოახდინა. კატცის აზრით, სანამ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინია, ასეთი გარღვევა გამორიცხულია:

– პუტინი თავად გახდა იმ შოვინისტური განწყობილებების მძევალი, რომლებიც მან რუსეთში გააღვივა. ახლა აშშ-სთან ნებისმიერი შეთანხმება რუსი ობივატელის მიერ უკან დახევად აღიქმება. პუტინსაც დაამხობენ. შესაბამისად, რუსეთის პრეზიდენტი გააგრძელებს ამერიკის სახით მტრის ხატის შექმნას, რაც მასთან შეთანხმებას გამორიცხავს, – ამბობს კატცი.

ამერიკელი ექსპერტის აზრით, შესაძლებელია, რუსეთთან ტაქტიკურ საკითხებზე შეთანხმება მოხდეს, თუმცა მაქსიმალური შედეგი, რომელსაც ამის შედეგად მივიღებთ, არის ის, რომ რუსეთ-აშშ-ს შორის კონფლიქტი და ახალი ცივი ომი მხოლოდ გადაიდება. როგორც კი ამერიკაში ობამას შემცვლელს აირჩევენ, ის რუსული პრობლემის გადაწყვეტის წინაშე დადგება და არა დილემის გადადების.

– ვინც არ უნდა გახდეს აშშ-ის ახალი პრეზიდენტი, ის იძულებული იქნება, რუსული ექსპანსიის წინააღმდეგ კონტრტაქტიკა შეიმუშაოს, – აცხადებს კატცი.

მოატყუა თუ არა პუტინმა ობამა?

© Reuters/A. Druzhinin/Sputnik/Kremlin

რუს ჟურნალისტ კონსტანტინე ეგერტის აზრით, პუტინმა ობამა მოატყუა.

– ქერის მოსკოვში ვიზიტი ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ ობამა დაბნეულია და, უბრალოდ, არ იცის, თუ რა მოიმოქმედოს, – წერს ეგერტი.

მისი აზრით, მალე მოსკოვ-ვაშინგტონს შორის დაიდება შეთანხმება, რომლის ძალითაც დონბასი ფორმალურად უკრაინის შემადგენლობაში დარჩება, რეალურად კი რეგიონზე რუსული პროტექტორატი შენარჩუნდება.

– ჯერჯერობით ასეთი შეთანხმება არ დადებულა, თუმცა მისი კონტურები უკვე გამოიკვეთა.

რუსი ჟურნალისტის აზრით, დონბასი განსაკუთრებულ სტატუსს მიიღებს, რაც ფაქტობრივად სეპარატისტული რეჟიმის დაკანონებას ნიშნავს. მეტიც, ამით უკრაინის ფედერალიზაციის პროცესი დაიწყება, რაც ამ ქვეყნის რუსული გავლენის სფეროში დაბრუნებას მოასწავებს.

– მოსკოვი და ვაშინგტონი ამაზე აუცილებლად შეთანხმდებიან. ამის შემდეგ რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციებიც გაუქმდება, – თვლის ეგერტი.

ჯონ ქერი, თავის მხრივ, აცხადებს, რომ უკრაინის სირიაში გაცვლა გამორიცხულია. ქერიმ დაადასტურა, რომ მინსკის შეთანხმებების დაცვა აუცილებელია, თუმცა, ისიც აღნიშნა, რომ ამ შეთანხმებების დარღვევის ფაქტები გახშირდა და ეს რუსეთის გამოისობით ხდება.

– უკანასკნელ ხანს პრორუსული სეპარატისტები გააქტიურდნენ. ამას ბოლო უნდა მოეღოს.

შეხვდა თუ არა პუტინი სულეიმანს?

რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე დიმიტრი პესკოვმა უარყო მასმედიით გავრცელებული ინფორმაცია მოსკოვში ირანელი გენერლის, „სლავური რევოლუციის კორპუსის დაცვის“ მეთაურ სულეიმანის ვიზიტის შესახებ.

EPA

გენერალი აქტიურად მონაწილეობდა ირანული ბირთვული პროგრამის შემუშავებაში, ამიტომაც გაეროს მიერ პერსონა ნონ გრატადაა გამოცხადებული.

– თავის მხრივ, ირანული მედია ამტკიცებს, რომ სულეიმანი მართლა ჩავიდა მოსკოვში, სადაც რუსეთის პრეზიდენტს შეხვდა.

– საუბარმა გულთბილ, მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა, – ამბობენ ირანელი ჟურნალისტები.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სათესლე ჯირკვლების ანთებას, ასოს, შარდსადინარის, პროსტატის ყველა სახის დაავადებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას. გვაქვს ინტიმური ურთიერთობების მოსაწესრიგებელი უვნებელი „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატესის მოწესრიგება – მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის“, თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 557-14-22-36; 597-92-07-05. ნინო ექიმი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

გიორგი ნიჟარაძე: „ეშმაკებს გარეთ ნუ ეძებთ!“

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გიორგი ნიჟარაძემ იმ მიზეზებზე ისაუბრა, რის გამოც სრკ-ის საპრეზიდენტო არჩევნებიდან საკუთარი კანდიდატურა მოხსნა.

გიორგი ნიჟარაძე:

– ვერავის სალანძღავ სიტყვას ჩემი პირიდან გაიგებთ. ვისაუბრებ იმაზე, რატომ მივიღე საკუთარი კანდიდატურის მოხსნის გადაწყვეტილება. პირდაპირ ვიტყვი, რომ ეს არ იყო ადვილი – 59 წლის ვარ და ასეთი მძიმე თვე ცხოვრებაში არ მქონია. არც ამდენი ტკივილი მოუყენებია არავის და ეშმაკებს გარეთ ნუ ეძებთ! კანდიდატურის მოხსნის გადაწყვეტილება მივიღე იმიტომ, რომ რაგბი ჩემზე, თქვენზე, ყველაზე მეტია. კანდიდატურა მოვხსენი იმიტომ, რომ ყველამ დაინახოს, ჩემთვის სკამი არის ნული. შეიძლება ზოგს ჰგონია, რომ პრეზიდენტობა პრივილეგიაა, მაგრამ რეალურად, ესაა ვალდებულება და პასუხისმგებლობა ქვეყნის, გულშემატკივრის წინაშე. რა ვუყოთ იმ ვეტერანებს, რომლებმაც რაგბი ჩვენამდე მოიტანეს? ფიქრობს ვინმე რატომ გადარჩა 90-იან წლებში რაგბი, როდესაც ქვეყანაში ყველაფერი ნადგურდებოდა? ამ ხალხს ფული სახლიდან მოჰქონდა, სახლებს ყიდდნენ და ასე შეინარჩუნეს რაგბი. აქ არიან ვეტერანები, მათ შორის რეგიონებიდან და რა ვუყოთ ამ ხალხს? გვერდზე გავწიოთ, ვუთხრათ რომ აღარ გვჭირდებიან? პირიქით, ამ ხალხს უნდა გავუფრთხილდეთ, გულში ჩავიხუტოთ.

ამ ყველაფერს ერთი დადებითი მომენტიც ჰქონდა, გამოჩნდა დიდი ერთობა ჩვენს ოჯახში, გულშემატკივარში და მინდა, მადლობა გადავუხადო გულშემატკივარს თანადგომისთვის. მე არ ვარ ის ადამიანი, ვინც შეიძლება გატეხონ და რაიმე აიძულონ. დავინახე საშიშროება იმისა, რომ ოჯახი გაიხლიჩებოდა, ეს არ მინდოდა და იმიტომ მოვხსენი კანდიდატურა. შეუცვლელი არავინაა და არც ჩემი წასვლით დასრულდება რამე. აქ ისეთი სიყვარულია, რომ ოჯახის გადაწყვეტილების გარეშე ვერავინ მოვა და ჩემი ღრმა რწმენით, ეს წარმატებული გუნდი აუცილებლად უნდა დარჩეს. არც მე ვაპირებ რაგბიდან წასვლას და თუ ოჯახი გადაწყვეტს, ნებისმიერი ფორმით, მზად ვარ ყველაფერი გავაკეთო ქართული რაგბის პროგრესისთვის ევროპასა და მსოფლიო რაგბში. სიტყვას გაძლევთ, რომ ქართული რაგბის ოჯახში ყველაფერი კარგად იქნება, მიუხედავად იმისა, ვინ იქნება პრეზიდენტი. ჩვენთვის მთავარია, როგორი კაცი იქნება ის, ვინც ამ თანამდებობას დაიკავებს. როგორ ედგა გვერდში ის თანამებრძოლებს მოედანზე და მის გარეთ. უახლოეს დღეებში შეიკრიბება გამგეობა და დაინიშნება ყრილობა. ჩემი აზრით, ეს ამბავი დიდი ხნით არ უნდა გადაიდოს. აუცილებლად იქნება სახელმწიფოს მხარდაჭერა და ყველაფერი გაგრძელდება ისე, როგორც აქამდე იყო. სახელმწიფომ უკვე იცის, როგორ გამოიყენოს რაგბი ქვეყნის სასიკეთოდ. მისი ფასეულობების დასაცავად 10.000-ით გულშემატკივარი გამოვიდა და რაგბია იმის მაგალითი, თუ როგორ უნდა აკეთო ეროვნული საქმე. რაგბის ფასეულობების დამცველთა შორის უამრავი ადამიანი იყო სამთავრობო სტრუქტურებიდანაც. პირადად მე პოსტის დამკავებელი აღარ ვარ, რადგან ვიმეორებ, ჩემთვის სკამი არაფერია. კანდიდატურა მოვხსენი, მაგრამ მინდა ჩემი გამოცდილება ქართულ რაგბის მოვახმარო და აქ ვარ გასაერთიანებლად და არა დასაყოფად.

სუპერლიგას სოხუმი ლიდერობს

სოხუმი – აკადემია 95:69
(23:21; 29:14; 19:22; 24:12)

სოხუმმა ბოლო ადგილზე მყოფი აკადემია ზედმეტი გართულებების გარეშე – 95:69 დაამარცხა.

არადა, აკადემიელებმა მძლავრად დაიწყეს და საწყისი 5 წუთის შემდეგ 9:5 დაწინაურდნენ. სანამ თამაშს დაალაგებდნენ, სოხუმელებს მცირე დრო დასჭირდათ. ვაჟა კვარაცხელიას გუნდმა პირველი მეოთხედის ბოლოსკენ ინიციატივა მოიპოვა და პირველ შესვენებას ლიდერის ამპლუაში შეხვდა – 23:21.

სოხუმი გუნდურად თამაშობდა, თუმცა ბომბარდირის ფუნქცია ამერიკელმა ფილიპ მილერმა ითავა, რომელმაც საბოლოოდ 21 ქულა მიითვალა. სტაბილურად ირჯებოდნენ სოხუმელთა დანარჩენი მოთამაშეები, რომელთაგან ეროვნული ნაკრების წევრის, ლევან ფაცაციას გარჯაა გამოსარჩევი. ფაცაციამ 11 მოხსნა, 11 პასი და 8 ქულა მიითვალა და სეზონის პირველ სამმაგ დუბლამდე მცირედი დააკლდა.

მეორე მეოთხედი გარდამტეხი გამოდგა, რომელიც კვარაცხელიას გუნდმა 29:14 მოიგო და დიდი შესვენებისთვის ხელჩასაჭიდი სხვაობით დაწინაურდა – 52:35. დიდი შესვენების შემდეგ აკადემია გამოერკვა და მეტოქესთან ჩამორჩენა 6 ქულამდე შეამცირა, თუმცა სოხუმელებმა მალევე მიიღეს შესაბამისი ზომები და სწორი ტაქტიკითა და საშემსრულებლო ოსტატობით ლიდერობა გაიმყარეს.

მატჩი საბოლოოდ სოხუმელთა 26-ქულიანი გამარჯვებით დასრულდა. სოხუმელთა ლიდერებზე მოგახსენეთ, ხოლო აკადემიაში 18 ქულით მორის ბრიგსი გამოირჩა. 11-11 ქულა სამმა კალათბურთელმა – კახა ტომარაძემ, ვლადიმერ კრისევიჩმა და აკაკი ლომოურმა მოაგროვეს.

მგზავრები – დინამო 63:84
(14:20; 17:22; 16:24; 16:18)

დინამოელები წარმატებულ სვლას აგრძელებენ და განურჩევლად ოპონენტისა, გამარჯვებას გამარჯვებაზე ითვლიან. ბათუმში და რუსთავთან მოგებული მატჩების შემდეგ ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა გუნდმა ზედიზედ მე-3 გამარჯვება მოიპოვა. თანაც ყველა შეხვედრა ზედმეტი გართულების გარეშე მოიგო და საპლეიოფო ზონაში შევიდა.

მგზავრებთან დღევანდელ მატჩში დინამოელებმა ინიციატივა თავიდანვე ხელთ იგდეს და პირველი მეოთხედის შემდეგ 20:14 იგებდნენ, დიდი შესვენებისთვის კი უპირატესობა 11 ქულამდე გაზარდეს. წინა მატჩის დარად კვლავ შეუჩერებელი იყო გიორგი შარაბიძე, რომელიც დისკვალიფიცირებული ილია ღონდარიძის არყოფნაში განსაკუთრებული შედეგიანობით თამაშობს. წინა მატჩში შარაბიძემ 31 ქულით მიმდინარე სუპერლიგის რეკორდი გაიმეორა, დღეს კი ამ შედეგამდე 2 ქულა დააკლდა.

დინამოელებს დაუბრუნდათ ნოდარ გოგოძე, რომელსაც ტრავმის გამო გვარიანი დრო გაუცდა. დღევანდელ მატჩში გოგოძემ 12 ქულა მიითვალა და თავისი გუნდის გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. შედეგიანი იყო დინამოელთა ამერიკელი ლეგიონერი დანიელ უილიამსი, რომელმაც 13 ქულა, 8 პასი და 5 მოხსნა მოაგროვა.

სატჩინიო ცხრილი:

1.სოხუმი	11	7	4862:765	18
2.ქუთაისი	11	7	4825:785	18
3.ბათუმი	10	7	3767:719	17
4.დინამო	10	6	4697:679	16
5.ოლიმპი	10	5	5716:710	15
6.რუსთავი	10	4	6743:772	14
7.მგზავრები	10	4	6709:759	14
8.აკადემია	10	1	9694:824	11

თასის ნახევარფინალისტები ცნობილია

დინამო – ტორპედო 2:1
თბილისი. დინამოს არენა
1:0 ქვილითაია (18), 1:1 სალრიშვილი (49ი, 2:1 ცინცაძე (71პ)

დინამო: ჰრდლიჩკა, კაკაბაძე, რენე, გველესიანი, გურული, ცინცაძე, პარუნაშვილი, ჯანელიძე (ლობჟანიძე 58), ჯიღაური, იაშვილი (ჭანტურია 87), ქვილითაია (არაბული 84)

ტორპედო: თევდორაძე, ტაბატაძე, ჭიჭინაძე, ბაბუნაშვილი, სიჭინავა, კუხიანიძე, კლიმიაშვილი, ნერგაძე, ქიმაძე, ბრეგვაძე, საღრიშვილი

გაძევება: ჭიჭინაძე (70)

პირველ დაპირისპირება ქუთაისში დინამოელთა სასარგებლოდ, 1:0 დასრულდა და თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, თუმცა ქართულ კლასიკოს თავისი ინტრიგა ყოველთვის ახლავს.

მატჩის დებიუტში მასპინძლების ხიფათს ირაკლი კლიმიაშვილმა კარში დარტყმით უპასუხა და პირველივე წუთებიდან აქტიური თამაში გაჩაღდა. მომდევნო შეტევაში ოთარ კაკაბაძე შეიჭრა საჯარიმოში და მისი დარტყმული რევაზ თევდორაძემ მოიგერია, დამატებაზე კი გიორგი ქვილითაიამ ვერ ივარგა. მე-10 წუთზე ალექსანდრე იაშვილმა ჩააწოდა საჯარიმოდან, ბურთს გიორგი ქვილითაია შესწვდა თავით, თუმცა მცირედით ააცილა კარს. ორიოდე წუთში კაკაბაძემ და კლიმიაშვილმა გაცვალეს სახიფათო დარტყმები.

მატჩის მე-18 წუთზე გიორგი ქვილითაიამ ტორპედოს კარში მორიგი გოლი გაიტანა და ანგარიში გახსნა. ქვილითაიამ ალექსანდრე იაშვილის ჩაწოდებულ ბურთს თევდორაძის კარში მიუჩინა ადგილი.

30-ე წუთზე გიორგი გურულმა შენიშნა ალექსანდრე იაშვილი, იაშკას დარტყმული კი გარედან მოხვდა ტორპედოს კარის ბადეს. საპასუხო სახიფათო შეტევა განახორციელა დათა სიჭინავამ, საჯარიმოს მისადგომებიდან კარისკენაც დაარტყა, მაგრამ ბურთს ლიბორ ჰრდლიჩკა დაეუფლა. ასევე სახიფათოდ შეუტია ჯაბა ჯიღაურმა, რომლის დარტყმულიც არაზუსტი გამოდგა. პირველი ტაიმი ალექსანდრე იაშვილის საჯარიმოთი დასრულდა, რომელიც რევაზ თევდორაძემ მოიგერია.

მეორე ტაიმის დებიუტში სტუმრებმა მოახერხეს წონასწორობის აღდგენა. ირაკლი კლიმიაშვილის ძლიერი დარტყმული კი მოიგერია ლიბორ ჰრდლიჩკამ, თუმცა ბურთი საჯარიმოში გიორგი კუხიანიძემ ჩააწოდა, სადაც უმეთვალყურეოდ დარჩენილმა გაბრიელ საღრიშვილმა თავით ზუსტად ითამაშა – 1:1.

მატჩს ინტრიგა დაუბრუნდა. ტორპედოს ერთი გოლი სჭირდებოდა და გოლის შემდეგ ინერციით უტევდნენ, მაგრამ...

63-ე წუთზე თბილისელებმა სწრაფი შეტევა განახორციელეს, იაშვილმა შეცვლაზე შემოსულ საბა ლობჟანიძეს გადააწოდა ბურთი, მისი გასროლილი კი ტორპედოს კარის ძელმა მოიგერია. 69-ე წუთზე საჯარიმოდან იაშვილმა ჩაკიდა, ბურთი რენემ მიიღო თუმცა ანრი ჭიჭინაძემ აკრძალული მეთოდით შეაჩერა და მსაჯმაც პენალტი დანიშნა, სტუმართა მცველი კი მოედნიდან გააძევა. თერთმეტმეტრიანი მათე ცინცაძემ უზადოდ შეასრულა და დინამო ისევ დააწინაურა – 2:1. აქ ყველაფერი გადაწყდა.

მალევე ქვილითაიას შეეძლო გატანა, მაგრამ მის დარტყმულს ბოლო მომენტში მცველი გადაეფარა. მატჩის 82-ე წუთზე ოთარ კაკაბაძე გავიდა მეკარესთან პირისპირ, დარტყმული კი არაზუსტი გამოუვიდა. 90-ე წუთზე ლაშა პარუნაშვილმა ითამაშა კარგად, თუმცა ბოლო მომენტში მცველებმა ბურთი კუთხურზე მოიგერიეს. საბოლოოდ დინამომ 2:1 მოიგო და საქართველოს თასის ნახევარფინალში გავიდა.

ალექსანდრ შტელინი:

– ტორპედომ სეზონში ერთ-ერთი კარგი მატჩი ჩაატარა. ფაზების აწყობა, ტაქტიკა, ჩვენ რაციონალურად დავალაგეთ, ავირჩიეთ მოლოდინის სტრატეგია და შესაძლებლობისას მასობრივი შეტევა. სამწუხაროდ, ჩვენი მხრიდან შეცდომებმა და მეტოქის კარგმა თამაშმა გამოიწვია ტორპედოს მარცხი. იმედი გვაქვს, რომ მომავალში უკეთ ვითამაშებთ, დინამოს კი ვუსურვებ წარმატებასა და თასის ფინალში გასვლას.

გია გეგუჩაძე:

– მადლობა ოპონენტს მოლოცვისთვის. სანახაობრივი თამაში გამოდგა. სათამაშო ნიუანსებზე საუბარი არ ღირს, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ამ ეტაპზე ჩვენი ამოცანა შევასრულეთ. შევეცდებით, ნაყოფიერად გამოვიყენოთ მოსამზადებელი ეტაპი და გავაგრძელოთ პროგრესი.

სიონი – სამტრედია 0:0 (2:03)
ბოლნისი. თამაზ სტეფანია
პენალტების სერია: 0:0 მარკოზაშვილი (მეკარე); 1:0 ისიანი; 1:0 რაჟამაშვილი (მეკარე); 1:0 კილასონია (მეკარე); 1:0 დათუნაიშვილი (ააცილა); 2:0 მანჯგალაძე; 2:0 სიხარულიძე (ძელი)

სიონი: მერლანი, ფოფხაძე, სვანიძე, კილასონია, საჯაია, რაზმაძე, გოგობერიშვილი (ვასაძე 81), გაფრინდაშვილი, ჯაფიაშვილი (ისიანი 70), მანჯგალაძე, უგულავა (ჭიკაიძე 90)

სამტრედია: მეშველიანი, გოგიაშვილი, სანდოხაძე, მჭედლიშვილი, შერგელაშვილი, დათუნაიშვილი, ცნობილაძე, რაჟამაშვილი, იოსელიანი (ენდელაძე 60), სიხარულიძე, ზივზივაძე (მარკოზაშვილი 87)

ვიტ ჯორჯია – ზუგდიდი 1-0 (5:33)
მცხეთა. მცხეთა პარკი
პენალტების სერია: 1:0 კალანდია; 1:0 მალანია (მეკარე); 2:0 ვაზაგაშვილი; 2:1 ელიავა; 3:1 თათხაშვილი; 3:2 სამუშია; 4:2 ღირდალაძე; 4:3 წყაროზია; 5:3 კახაბრიშვილი

ვიტ ჯორჯია: შეროზია, კალანდია, ჩიტიშვილი, თათხაშვილი, დანელია, კახაბრიშვილი, გახარია, კურდღელაშვილი, კამალაძე, ღირდალაძე, ქარელი (ისერგიშვილი 67)

ზუგდიდი: მამალაძე, ელიავა, ჯავაშვილი (თუთბერიძე 97), მალანია, ნარმანია, ქანთარია, ტყემალაძე, წყაროზია, ლაშხია, ქირია, ბულია

გაძევება : შეროზია (64); ბულია (64); გახარია (99); ლაშხია (118)

შუქუჩა – ჩიხუჩა 1:1
ძოგულეთი. ჩელე არენა
1:0 დეკანოიძე (72), 1:1 ლობჟანიძე (84)

შუქურა: ჯიოევი; ბრაჭული (ცხოვრებოვი 27), გეგეჭკორი, ჭეიშვილი, დოლიძე (გუგუჩია 61), ჩალაძე, შარიქაძე, თარხნიშვილი, კომახიძე (ლობჟანიძე 46), ჩელებაძე, ურიდია

ჩიხურა: კუპატაძე, კაშია, ჩიკვაიძე, მეგრელიშვილი, კაკაშვილი, კუსიანი, დობროვოლსკი, დეკანოიძე (ჯოხაძე 83), კორიფაძე, ჭეჭელაშვილი (ჭანკოტაძე 90), სარდალიშვილი (კუჭუხიძე 82)

ნიკოლოზ ანდრიაძის კლუბი საქართველოში ერთ-ერთი პირველია

ვაკის ფარიკაობის დარბაზში მოხმალავეთა ტურნირი გაიმართა, რომელიც ნიკოლოზ ანდრიაძის სახელობის კლუბის 5 წლის იუბილეს მიეძღვნა.

დიდი ტიციან ტაბიძის შვილიშვილი, ნიკოლოზ ანდრიაძე, 1963 წლის მსოფლიოს ჩემპიონია იუნიორთა შორის და ფარიკაობას აქტიურად დღემდე მისდევს. შემდეგ წარმატებებს უკვე ვეტერანთა ტურნირებზე მიაღწია, არის მსოფლიოსა და ევროპის პრიზიორი, ხოლო ექიმ მოფარიკავეთა შორის მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ფარიკაობასთან სიახლოვემ უბიძგა კლუბის დაარსება, რაც საქართველოში იშვიათი შემთხვევაა. 5 წლის განმავლობაში კლუბმა უკვე გაზარდა რამდენიმე საინტერესო სპორტსმენი. ნიკა შენგელიამ ჩინეთში გამართულ ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე მე-6 ადგილი დაიკავა, შარშან კადეტთა ევროპის თასზე მესამე ადგილი ირგუნა, წელს კი ახალგაზრდულ ევროპის თასზე – ვერცხლი, ხოლო თურქეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ფინალი თანამემამულე ბექა ბაზაძესთან დათმო.

კლუბის წევრია ოლიმპიური ჩემპიონის, ვლადიმერ აფციაურის ქალიშვილი მარიამიც, რომელმაც ევროპის თასის გათამაშებაზე მეორე ადგილი დაიკავა. ორჯერ იმარჯვა ამ ტურნირზე 15 წლის ანი აფრასიძემ. საინტერესო მოფარიკავეები არიან ელენე ნანობაშვილი და გოგა კაკაურიძე.

ახალგაზრდებს წვრთნიან გამოცდილი სპეციალისტები: ირაკლი ღაღანიძე, ქეთევან ერემეიშვილი, თეონა ნიშნიანიძე, თემურ ბოჭორიშვილი. კლუბი ტიციან ტაბიძის სახელობის 43-ე საჯარო სკოლაშია, ახლახან კი ფუნქციონირება დაიწყო ქუთაისშიც.

ახლა ტურნირის შედეგებიც: გოგონებს შორის ჩემპიონი სალომე გაგუა გახდა, მეორე ადგილზე მარიამ ქაჩლიშვილი გავიდა, ხოლო მესამე ადგილები მარიამ კახაბრიშვილსა და მარიამ გაგნიძეს ერგო.

ვაჟთა შორის პირველობა ლევან აბუაშვილმა ირგუნა, მეორე ადგილზე ლუკა ჩუბინიძე გავიდა, ხოლო მესამეზე – ლუკა ტურაბელიძე და ალექსანდრე ციხისელი.

ჩემპიონ-პრიზიორები მსოფლიოს ჩემპიონმა და ოლიმპიურმა პრიზიორმა გურამ კოსტავამ, ფარიკაობის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტმა იური ოსიპოვმა და ნიკოლოზ ანდრიაძემ დააჯილდოეს.

მოამზადა მიხეილ ეორეეოლიანმა

შედეგები

16 დეკემბერი
ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონშიპი
ჰალი-რედინგი 2:1

ესპანეთი. თასი
ბილბაო-ლინენსე 6:0
ეიბარი-პონფერადინა 4:0
ხეტაფე-რაიო 3:1
მალაგა-მირანდესი 0:1
სოსიედადი-ლას პალმასი 1:1
ვალენსია-ბარაკალდო 2:0

გერმანია. თასი
ნიურნბერგი-ჰერტა 0:2
შტუტგარტი-ბრაუნშვაიგი .. 3:2(დდ)
აუგსბურგი-დორტმუნდი 0:2
მიუნხენ 1860-ბოხუმი 0:2

იტალია. თასი
რომა-სპეცია ..... 0:0(2:4პ)
ფიორენტინა-კარპი 0:1
ნაპოლი-ვერონა 3:0
იუვენტუსი-ტორინო 4:0

საფრანგეთი. თასი
ბორდო-მონაკო 3:0
ბურგი-მარსელი 2:3
ლიონი-ტური 2:1

ბელგია. თასი
გენკი-მუსკრონი 2:1
გენტი-მეხელენი 1:0
ვესტერლო-ბრიუგე 0:2

პოლონეთი. ექსტრაკლასი
ტერმალიცა-იაგელონია 2:0

დიმიტრი პესკოვი: „ჩაიკას წინააღმდეგ ბრალდებები შეკვეთილია!“



რუსეთის პრეზიდენტის სპიკერმა პესკოვმა თქვა, რომ ბრალდებები გენპროკურორ ჩაიკას მიმართ შეკვეთილია.

– ეს შეუიარაღებელი თვალითაც კი ცხადია, – ამბობს პესკოვი.

ამავე დროს, პუტინის პრესმდივანმა უარყო მედიაში გავრცელებული ინფორმაცია ჩაიკას ხელშეუხებლობის შესახებ.

– ხელშეუხებელი არავინაა. ჩატარდება ობიექტური გამოძიება, თუმცა, ჩემი პროგნოზით, ის ჩაიკას უდანაშაულობას დაამტკიცებს, – ამბობს პესკოვი.

გერმანულმა ავიაციამ ტერორისტების პოზიციები დაბომბა

გერმანულმა ავიაციამ სირიაში ტერორისტების პოზიციები დაბომბა. ამის თაობაზე „დოიჩე ველე“ იტყობინება.

– ჩვენ ასეთი აქციისაგან კარგა ხანს თავს ვიკავებდით, მაგრამ პარიზის ტერაქტის შემდეგ უმოქმედოდ ყოფნა უკვე აღარ შეიძლებოდა, – აცხადებს ანგელა მერკელი.

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „ქელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

ესპანეთის პრემიერს სილა გააწნეს

ესპანეთის პრემიერი მარიანო რაჰოი ავტონომიურ პროვინცია გალისიაში ჩავიდა. იქ ის თავის ამომრჩევლებს შეხვდა. ანაზდად პრემიერთან უცნობი ახალგაზრდა მივიდა და ერთად სურათის გადაღება შესთავაზა. პრემიერი დაეთანხმა.

– უცებ ყმაწვილმა რაჰოის სილა გააწნა ისე მაგრად, რომ პრემიერი კინაღამ წაიქცა.

ხულიგანი დაცვამ უმალ დააკავა, პრემიერმა კი ამომრჩევლებთან შეხვედრა და საუბარი განაგრძო, ოღონდ უკვე – სათვალის გარეშე, რადგანაც ის თავდასხმის დროს გატყდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

რუსეთმა უკრაინასთან თავისუფალი ვაჭრობის ზონა გააუქმა

ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლის ძალითაც 2016 წლის 1 იანვრიდან უკრაინასთან თავისუფალი ვაჭრობის ზონა უქმდება.

– რადგან უკრაინამ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელი მოაწერა, ჩვენ არ შეგვიძლია, მასთან თავისუფალი ვაჭრობის ზონა გვქონდეს, – თქვა პუტინმა.

კრემლში იმედოვნებენ, რომ რუსეთთან თავისუფალი სავაჭრო ზონის გაუქმება უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში სეპარატიზმს ბიძგს მისცემს, თუმცა დღეისათვის ამ მხრივ საპირისპირო სურათი გვაქვს.

მიუხედავად უკრაინის პარლამენტში არსებული დაპირისპირებისა და ხელჩართული შეტაკებებისა, სეპარატისტულმა ტალღამ მკვეთრად იკლო. ამის შესახებ ცნობილი ექსპერტი, ჯგუფ „ინფორმაციული წინააღმდეგობის“ ხელმძღვანელი ტიმჩუკი აცხადებს.

– თუკი სეპარატიზმის საფრთხეს ოცდაათბალიან სისტემით შევაფასებთ, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ დღეისათვის გვაქვს შემდეგი სურათი: ოდესის ოლქში სეპარატიზმის საფრთხე რვა ბალია, ხარკოვისაში – შვიდი, იმიერკარპატისპირეთში – ხუთი, ზაპოროჟიეში – სამი, დნეპროპეტროვსკში – ხუთი, კიევსა და ლვოვში – ერთი, – აცხადებს ტიმჩუკი.

ამავე დროს, ექსპერტი მიუთითებს, რომ უკანასკნელ ხანს უკრაინის მთელ ტერიტორიაზე რუსული სპეცსამსახურების მკვეთრი გააქტიურება შეინიშნება. აშკარაა მცდელობები, გააღვივონ სეპარატიზმი იმიერკარპატისპირეთში, გამოიწვიონ არეულობა სოციალურ ნიადაგზე. საინფორმაციო ომი უკრაინის წინააღმდეგ ძლიერდება და ფართო მასშტაბებს იღებს. რთულდება ვითარება დონბასში.

– რუსეთმა დონეცკში სნაიპერების ჯგუფი შეიყვანა. ისინი უკრაინელ მეომრებზე ნადირობენ. გრძელდება გზების დანაღმვა. მოსკოვი ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ ჩვენს მეომრებს შორის მსხვერპლი რაც შეიძლება დიდი იყოს, – აცხადებს ტიმჩუკი.

ნადეჟდა სავჩენკომ შიმშილობა გამოაცხადა

უკანონოდ დაკავებულ უკრაინელ მფრინავ ნადეჟდა სავჩენკოს წინასწარი პატიმრობის ვადა 2016 წლის აპრილამდე გაუგრძელეს. პასუხად სავჩენკომ შიმშილობა გამოაცხადა.

– სასამართლო სინამდვილეში ფარსია! ამიტომ დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოვითხოვ, მით უმეტეს, რომ წინასწარი გამოძიების დროს ჩემი ალიბი დამტკიცდა, – ამბობს სავჩენკო.

უკრაინელი მფრინავი აცხადებს, რომ მას ოცდახუთ წელს მიუსჯიან. ასეთია პუტინის დაკვეთა. ამიტომ, თუკი არ გაათავისუფლეს, პროცესის დამთავრების შემდეგ უკვე მშრალ შიმშილობას გამოაცხადებს.

მალამო „მენტორი პირველის“ გამოყენების წესი

ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რევმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს. აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, ხსნის ფეხებში სიმძიმესა და დაჭიმულობას.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.

მოგ. ტელ: 599-73-48-21

თოდუების საგვარეულო წამლები და მალამოები ოდითგანვე იყო ცნობილი. დღეს თოდუების გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელიც წარჩინებით მიჰყვება თავის საქმიანობას და ჰყავს ათასობით მადლიანი პაციენტი.

ლამარა თოდუა:

„კანის გაწმენდას ვაკეთებ ძველი და ახალი მეთოდებით, სამკურნალო ნიღბებით, რაც სახის კანის გაღიზიანებას არ იწვევს. ჩემი მკვებავი, დამცავი კრემები და ლოსიონები მხოლოდ მცენარეული და ბუნებრივი მასალაა. ვკურნავ „პრიჩიკებს“, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, ჩირქოვან სოკოვანებს, გასქელებულ ფრჩხილებს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ჰაიმორიტს. ვაშორებ ქერტლს, გამონაყარს, ვაჩერებ თმის ცვენას. ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ახალნამშობიარებ დედებს თუ მკერდი გაუმაგრდათ, ჩემი მალამოებით შვებას იგრძნობენ, სადინარები გაეხსნებათ და არანაირი მასაჟის ჩატარება საჭირო აღარ არის. ვარჩენ ნაწოლებს, თმის ჩაბრუნებას. ჩემი მალამოებით სწრაფად ხორცდება ნებისმიერი ხარისხის დამწვრობა ისე, რომ ნაწიბური და ლაქა არ რჩება. ვარჩენ ხელისა და ფეხის ოფლიანობას. მკურნალობის შედეგი გარანტირებულია“.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ასტროპროგნოზი

18 დეკემბრისათვის



ვერძი – წარმატება გელით სავაჭრო ოპერაციების განხორციელებისას, გარისკვაც რეკომენდებულია. პირად ცხოვრებაში პრობლემებს იოლად მოაგვარებთ. ოცნება გისრულდებათ. **კურო** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. თავს ნუ გადაიტვირთავთ, აკეთეთ ის, რაც გსიამოვნებთ. თქვენს ცხოვრებაში სასიამოვნო ცვლილებების დრო დადგა. **ტყუპები** – კრიტიკული დღეა. ნებისმიერ სიტუაციაში წინდახედულობა და შორსმჭვრეტელობა გმართებთ. მოსალოდნელია სიტუაციის გაუარესება. **კირჩხიბი** – შესაძლოა, მძიმე პირობებთან შეგუება მოგიხდეთ. ნერვებს გაუფრთხილდით, მოვლენებს ნუ დააჩქარებთ. აფორიაქებული ხართ. მომავლის გეგმებს ნუ დასახავთ. **ლომი** – საოცრად ქაოსური დღეა. ეცადეთ, კონფლიქტურ სიტუაციებს გაერიდოთ. დღის მეორე ნახევარში საპირისპირო სქესთან ურთიერთობა კეთილისმყოფელი იქნება. **ქალწული** – მშვენიერი პერიოდი გიდგათ. იაქტიურეთ. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები წარმატებით დაგვირგვინდება. საღამოს საკუთარ თავს პატარა დღესასწაული მოუწყვეთ. **სასწორი** – ოჯახური კამათი გარდაუვალია, თუმცა სიტუაციის გამწვავების ალბათობა მინიმალურია. უფროსობასთან საკუთარი პრინციპები მტკიცედ დაიცავით. **ღრიანცელი** – ცოდნის არეალის გაფართოება ნამდვილად გჭირდებათ. იყავით მიზანდასახული და აქტიური. კარგი დღეა საყიდლებზე წასასვლელად, ბიზნესსაქმიანობისათვის. გელით კარიერული წინსვლა. **მშვილდოსანი** – იყავით რეალისტი. ილუზიებს ნუ აჰყვებით. მიზნის მისაღწევად დიდი შრომა გჭირდებათ. **თხის რქა** – ნურავის რჩევას ნუ აჰყვებით. კომერციული საქმიანობა და ბიზნესმოლაპარაკებები რეკომენდებული არ არის. ერიდეთ ჭორიკანა ადამიანებთან კონტაქტს. **მერწყული** – სამსახურში წინსვლა გელით. შემოქმედებითი პოტენციალი საგრძნობლად აგიმაღლდებათ. კარგი დღეა საყიდლებზე წასასვლელად, ასევე მოგზაურობისა და მივლინებებისათვის. **თევზები** – ერთ-ერთი საუკეთესო, მშვიდი და კეთილისმყოფელი დღეა. სრული ჰარმონია გაქვთ როგორც პირად ცხოვრებაში, ისე კარიერული თვალსაზრისით. ნებისმიერი წამოწყება წარმატებული იქნება.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ↄ



შვეულად: 1. კარატისტის ოსტატობის ხარისხის მაჩვენებელი; 2. აგატა კრისტის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი; 2. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების საერთაშორისო ორგანიზაცია; 5. სვან მამაკაცთა ცეკვა; 6. მოძღვრება რელიგიის შესახებ; 9. გამოცდის ერთ-ერთი მეთოდი – ლექტორის გასაუბრება სტუდენტებთან; 10. აშშ-ში მოღვაწე ქართველი ბალეტმეისტერი; 11. ჩინურ-იაპონური დამწერლობის გრაფიკული ნიშანი; 14. აფრიკული ანტილოპა; 16. მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში; 18. საქართველოს კალათბურთელთა გუნდი.

თარაზულად: 1. მდინარე კიევში; 4. მრავალსართულიანი კარსტრული მღვიმე ტყიბულის მახლობლად; 7. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი; 8. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ფირმა საქართველოში; 12. საღებავების, ლაქების დასამზადებლად გამოყენებული მოხარშული ზეთი; 13. ზღვა საბერძნეთისა და თურქეთის სანაპიროებთან; 15. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 17. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 19. სისხლის თეთრი ბურთულაკები; 20. იტალიური ავტომობილი; 21. უღელტეხილი კავკასიონზე.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოჰდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. დაკა; 2. ელესა; 3. ფრანი; 5. ბელუჩი; 6. ლინოტიპი; 9. დენონსაცია; 10. პერინიონი; 11. დილიჟანსი; 14. შოუ; 16. მწნილი; 18. ღრძო.

თარაზულად: 1. დაგერი; 4. იმბეცილი; 7. ძელქვა; 8. ნუსხური; 12. მნათე; 13. უშქარი; 15. ჩინური; 17. ჩაი; 19. მანუსკიპტრი; 20. წაბლი; 21. ჭოროხი.

კროსვორდი ბ:

შვეულად: 1. ძონი; 2. ვალსი; 3. პრაიდი; 5. ასაჰი; 6. გლიპტიკა; 8. სოლისიტორი; 10. ანალიზი; 12. ამსტელი; 14. მარიცა; 15. სამაია; 16. სეიკო.

თარაზულად: 1. ძეწკვი; 4. ხაფანგი; 7. მალაგა; 9. დოფინი; 11. პლატინა; 12. აკაპულკო; 13. ალმასი; 17. პლაზმა; 18. გომი; 19. ალპინიადა; 20. ლიმონათი.

ოპერისა და ბალეტის თეატრში სერგო ქობულაძის ფარდა დაკიდეს

42-წლიანი პაუზის შემდეგ თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში სერგო ქობულაძის ფარდის ესკიზის ასლი საზეიმო ვითარებაში დაიკიდა.

ფარდა 1973 წელს თეატრში გაჩენილი ხანძრის დროს დაიწვა. სერგო ქობულაძისეული ოპერის ფარდის ესკიზი ხელოვნების სასახლემ რამდენიმე თვის წინ შეიძინა. ისტორიული ფარდა ესკიზის მიხედვით თავიდან შეიქმნა და ხანგრძლივი პაუზის შემდეგ თეატრმა მთავარი სავიზიტო ბარათი დაიბრუნა. სერგო ქობულაძის უნიკალური ფარდის ასლი გერმანიაში დამზადდა. ეს არის პრინტი, რომლის ესკიზზე მხატვარი სიცოცხლის ბოლო წლებში მუშაობდა. ქობულაძის ფარდის უკანასკნელ ესკიზზე ქართველმა სპეციალისტებმა იმუშავეს და თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით ნაჭერზე გადაიტანეს. ქობულაძის ფარდის ასლის დაბეჭდვა გერმანულმა კომპანიამ განახორციელა.

რამდენიმეწლიანი ლოდინის შემდეგ თეატრის სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოები დასასრულს უახლოვდება და მისი გრანდიოზული გახსნა მომავალი წლის დასაწყისშია დაგეგმილი.



ელისაბედ ქობულაძე, სერგო ქობულაძის შვილიშვილი:

– მიჭირს ამ თემაზე საუბარი. ფარდაც არ მინახავს, იმიტომ, რომ დაბადებული არ ვიყავი, როცა დაიწვა. თეატრში ყოფნისას ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ მაშინაც ნანახი მქონდა და ახლა თავიდან უნდა მენახა. სიტყვებით ვერ გადმოვცემ, ეს რა შეგრძნებაა, მხოლოდ სიხარულის ცრემლებით.

რუსუდან დაუშვილი, ოპერის მუზეუმის თანამშრომელი:

– სერგო ქობულაძის ფარდა იყო საოცარი სანახავი. დარბაზში შემოსვლისას პირველი, რაც თვალში მოგხვდებოდა, ეს იყო არაჩვეულებრივი ფარდა. პატარა ვიყავი, მაგრამ კარგად მახსოვს, თითქოს სივრცეები იხსნებოდა მისი ყურებისას. სერგო ქობულაძის ფარდა, სამწუხაროდ, ხანძარმა გაანადგურა და მისი აღდგენა შეუძლებელი იყო, რადგან მხატვარს ჰქონდა განსაკუთრებული ხელწერა, რომელსაც ვერავინ გაიმეორებდა.

ნინო ანანიაშვილი, საბალეტო დასის ხელმძღვანელი:

– ფარდას თეატრში უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ასეა მთელ მსოფლიოში. მარინის თეატრში, კოვენტგარდენში, გრანდოპერაში, დიდ თეატრში, ყველგან ფარდა კიდია, რომელიც მაყურებელსა და იმ ჯადოსნურ სამყაროს, რასაც თეატრის სცენა ჰქვია, აშორებს ერთმანეთისგან. უბედნიერესი ვარ, რომ მოვა მაყურებელი და დახვდება ეს ულამაზესი ფარდა. ეს იყო ის ოცნება, რომელიც ამისრულდა და ახლა უკვე შემიძლია, ცეკვასაც დავანებო თავი.

ოთარ კობერიძე 91 წლის გახდებოდა

ქართული კინოს ვარსკვლავი ოთარ კობერიძე 91 წლის გახდებოდა. ეს პირველი დაბადების დღეა, რომელსაც მისი ოჯახის წევრები მსახიობის გარეშე შეხვდნენ. ოთარ კობერიძე მარტში გარდაიცვალა.



მსახიობი, რეჟისორი და სცენარისტი, საქართველოს სახალხო არტისტი თავისი როლებით არასოდეს ტოვებდა გულგრილს მაყურებელს. თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის დასრულების შემდეგ მან ჯერ სოხუმის დრამატული თეატრის, ხოლო შემდეგ მარჯანიშვილის აკადემიური თეატრის მსახიობად იმუშავა.

საქართველოს სახალხო არტისტი ათეულობით წლის განმავლობაში კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობი და რეჟისორი იყო. მას შესრულებული აქვს 50-ზე მეტი როლი. როგორც რეჟისორს, გადაღებული აქვს ათამდე ფილმი, სამი ფილმისთვის კი სცენარი თავად დაწერა.

ოთარ კობერიძეს ქართველმა საზოგადოებამ დიდი სიყვარულისა და მადლიერების ნიშნად კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ სახელობითი ვარსკვლავი გაუხსნა. ხელოვნების სასახლის უკვდავთა თაღში მსახიობის ხელის ანაბეჭდი გაიხსნა.

ოთარ კობერიძე თავისი ცხოვრების კრედოს ყოველთვის ხმამაღლა, ყველას გასაგონად ასაჯაროებდა:

– ჩემი ცხოვრება ეკუთვნის ჩემს სამშობლოს, გული ჩემი – ლიას, ღირსება – მე და არავინ გაბედოს, ღირსება შემიქოს და მედალი ჩამომკიდოს!

მსახიობი 90 წლის ასაკში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. ის დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

ნინი შერმადინმა სადებიუტო ალბომი გამოუშვა

ამერიკაში კარიერის ასაწყობად წასულმა ქართველმა მომღერალმა ნინი შერმადინმა სადებიუტო ალბომი გამოუშვა. სპეციალურად ამ მნიშვნელოვანი მოვლენისთვის ნინი ამერიკიდან საქართველოში ჩამოვიდა, სიმღერები აქაურ სტუდიაში ჩაწერა, ორი ახალი კლიპიც გადაიღო და ერთგულ მსმენელს სიურპრიზებით დახუნძლული შეხვდა.

მან მომღერლობას სიმღერების ავტორობაც შეუთავსა და სადებიუტო ალბომში თავისი დაწერილი სიმღერებიც შეიტანა. ნინიმ თავისი პირველი ალბომის და ორი ახალი კლიპის პრეზენტაცია წყნეთში გამართა, სადაც კონცერტში მასთან ერთად მისი მეგობრებიც მონაწილეობდნენ. კონცერტის დასასრულს სადღესასწაულო ტორტიც გაიჭრა, ალბომებიც გაიყიდა და მომღერალმა ავტოგრაფებიც მრავლად დაარიგა.

ნინი შერმადინი არასდროს მალავდა, რომ საქართველოდან წასვლის ძირითადი მიზეზი ამერიკაში პროფესიული წინსვლა იყო. ის ბროდვეიზე გამართულ შესარჩევ ტურებშიც იღებდა მონაწილეობას, სადაც მიუზიკლისთვის მომღერლები უნდა შეერჩიათ. მართალია ბროდვეის მიუზიკლში მონაწილეობა ვერ მოახერხა, მაგრამ ამერიკაში ჩასულს მალევე გაუმართლა და თავისი საყვარელი საქმით დაკავდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ამერიკაში ბანკი პირდაპირ ეთერში გაძარცვეს

ამერიკის მინესოტის შტატში ბანკი იმ დროს გაძარცვეს, როდესაც კორესპონდენტს გადაცემა ბანკის ფონზე პირდაპირ ეთერში მიჰყავდა. ამის შესახებ ინფორმაცია ერთ-ერთმა ადგილობრივმა ტელეარხმა გაავრცელა, რომლის თანამშრომელი შემთხვევის ადგილზე აღმოჩნდა.

ჟურნალისტი ადამ სალეტი პირდაპირ ეთერში საუბრობდა ბანკის ძარცვის სულ სხვა შემთხვევაზე, რომელიც 14 დეკემბერს მოხდა. ამ დროს საკრედიტო დაწესებულების შენობიდან ბანკის თანამშრომელი გამოვარდა. მან კორესპონდენტს გვერდით ჩაურბინა, ბანკისკენ მიანიშნა, რითიც აგრძნობინა, რომ იქ მძარცველი იმყოფებოდა, ეს ყოველივე კადრში მოხვდა.

– მეგობრებო ეს პირდაპირი ეთერია! ბანკის თანამშრომლის თქმით, მძარცველმა ახლახან ჩაგვირბინა. 911-ის სამსახურში უნდა დავრეკო, – განაცხადა სალეტმა კამერაში.

ძარცვის ამსახველი ვიდეორგოლი რვა ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა. ეჭვმიტანილი პოლიციელებმა მომხდარიდან დაახლოებით ერთ საათში დააკავეს. ის 36 წლის რაიან ლისკოუ აღმოჩნდა, ბანკის ერთ-ერთი თანამშრომელი. გამოძიების მონაცემებით, მამაკაცს უკვე გაძარცვული ჰქონდა ბანკი და იმავეს გასაკეთებლად მეორე დღესაც მივიდა.

შოტლანდიელი ქალი საკუთარ დღეგრძელობას ჯინს მიაწერს

შოტლანდიის ქალაქ გლაზგოს მცხოვრებმა ქალბატონმა თავისი დღეგრძელობის საიდუმლოდ ალკოჰოლური სასმელების მიღება დაასახელა. ინა კარაფერსმა, რომელიც 30 ნოემბერს 105 წლის გახდა, განაცხადა, რომ ის ყოველ კვირა ჯინს სვამდა ფორთოხლის წვენით.

კარაფერსი მოხუცთა თავშესაფარში სპეციალისტების განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება, სადაც მას ხელში ალკოჰოლური სასმელით სავსე ჭიქით შეხვდებით. ხანდაზმული ქალბატონი იცავს დიეტას, რომელიც შედგება ალკოჰოლიანი კოქტეილის, შვრიის ფაფის, გახუხული პურის ნაჭრებისა და ორცხობილისგან. მისი თქმით, სწორედ ამ პროდუქტებს უნდა უმადლოდეს საკუთარ დღეგრძელობას.

შოტლანდიელი ქალბატონი 1910 წელს დაიბადა. მას სამი შვილი ჰყავდა: იანი (წელს შეუსრულდა 70 წელი), მერინი (65 წლის) და სარა, რომელიც რვა წლის ასაკში გარდაიცვალა. კარაფერსი მთელი ცხოვრება მუშაობდა, რათა შვილებისთვის ცხოვრება მოეწყო, თუმცა, მისივე აღიარებით, არც გართობას იკლებდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკურჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

TV პროგრამა
ხუთშაბათი, 18 დეკემბერი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 00.30 "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინა**" **12.30** "კომუნიკატორი" **13.30, 14.05** მხ/ფ "**შორს**" (ნ.კიდმანი) **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **18.05** "სიტყვების თამაში" **18.30, 19.01, 22.00, 02.40** თოქ – შოუ "რეალური სივრცე" **19.30** "ტელებლოგი" **20.30** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.00** ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" **23.30** "კომუნიკატორი" **00.30** მოამბე **00.40** მხ/ფ "**ნილაბი**"

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **110.30** "არგუმენტების დრო" **13.00** დოკ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **14.00, 16.00** ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" **17.00** "პოლიტალტერნატივა" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (5 ენაზე) **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.50** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**გზაჯვარედინი**" **11.20** სერ. "**რჩეული**" **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**დაკარგული წლები**" **18.45, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** პოლიტიკა **23.30** მხ/ფ "**პომპეი**" (ე.ბროუნინგი) **01.20** მხ/ფ "**ძილის წინ**" (კ.ფერტი) **03.00** მხ/ფ "**საუკეთესო რაც კი ჩემშია**" (მ.მონაგანი)

07.00, 15.40 სერ. "**ლამაზი სიზმარი**" **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.55** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **22.50** ქერის უბანი **23.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **27 01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

06.10 მუს.პაუზა **06.15** კვირიაკე **07.20** დ/ფ "სულიკო კოროშინაძე" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ლექციები მეფუტკრეობაზე **11.00** ერთსულოვანი ოჯახი- დემეტრაშვილები-უკრაინელი რძალი **12.10** პორტრეტები **13.15** ბავშვები მუზეუმში **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ზამოიკულკასი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.30** მსოფლიო ხალხთა ზღაპრები "როგორ გაჩნდა მთვარე" **15.40** დამოკიდებულებიდან თავისუფლებამდე (ნანა ჩაჩუა) **16.10** დ/ფ "ველური ბუნება-მარტორქები" **16.35** მიწათმოქმედი "ბიოპომუსი" (სასუქი) **17.00** ყველაფერი ქორეოგრაფიაზე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ქართული ხმები **20.00** თაობა ზეტი **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "ქვეყანა ჭერემისა" III ფილმი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** თბილისის ტაძრები "ჯვრის მამა" **00.35** დ/ფ "ნიკოლოზობა" **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "თრონი" (ჟესტიკულაციით) **7.55** "საქმიანი დილა" **10.05** სერ. "**სხვისი სხეული**" **11.05** სერ. "**ქუზეი და გუნეი**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.30** "ბიზნეს კონტაქტი" **14.05, 1.30** სერ. "**ტატინა**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** "თეკუნას კულინარიუმი" **16.05** სერ. "**ჩვენ გვერდით**" **17.05, 2.15** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ. "**ნადირობა**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ბანდიტების დედოფალი**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **23.00** სერ. "**მყნოსავი-1**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ჯოსვოიდი ბ

შვეულად: 1. ყაჩაღის ძველი ქართული სახელწოდება; 2. ჩამოწოლილი ნისლი, ბურუსი; 3. საშობაო სიმღერა; 4. ავსტრალიური ჩანთოსანი დათვი; 5. იაპონელი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 6. უმაღლესი პილოტაჟის ფიგურა; 8. ქალაქი ბელგიაში, ძვირფასი ქვების დამუშავებისა და ვაჭრობის ცენტრი; 10. შაქრით შეზავებული, არომატიზირებული, მოდღებული წითელი ღვინო; 11. ხელოვნების მუზეუმი ბერლინში; 14. აეროპორტი ლონდონში; 15. აპრილის თვის ქართული სახელწოდება; 16. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი.

თარაზულად: 1. რაიონული ცენტრი იმერეთში; 4. იაპონური ჰიმნი; 7. მარადმწვანე, ტროპიკული, ხვიარა, მცოცავი მცენარე; 9. კვების პროდუქტების შესაფუთად გამოყენებული, ფერადი ლითონების სიფრიფანა ფურცელი; 12. რაიმე ფაქტის ან მოვლენის ერთ-ერთი ახსნა; 13. დიპლომატიური წარმომადგენელი; 14. ისტორიული სამთავრო აღმოსავლეთ საქართველოში; 17. ნარკოტიკული ნივთიერება; 18. თანდაყოლილი ჭკუასუსტობა; 19. ყველაზე დიდი ატომური ელექტროსადგური გერმანიაში; 20. მექსიკური არაყი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

18 დეკემბრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.3975	ევრო — 2.6185
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5977	100 რუსული რუბლი — 3.4157

ამინდის პროგნოზი 18 დეკემბრისთვის

კალეიდოსკოპი

პრინცმა ჰარიმ ოჯახი ლანჩზე დაპატიჟა

პრინცმა ჰარიმ კემბრიჯის ჰერცოგინია კეტრინი, პრინცი ჯორჯი და, სავარაუდოდ, პრინცესა შარლოტა დიდი ბრიტანეთის სამეფო ოჯახის ტრადიციულ საშობაო ლანჩზე წაიყვანა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჰერცოგინიას მეუღლეს, პრინც უილიამს არ ეცალა და მას ამიტომ ვერ გაჰყვა ბუკინჰემის სასახლეში. სწორედ ამიტომ იკისრა მისი კომპანიონობა პრინცმა ჰარიმ.

ბრიტანულმა მედიამ გამოაქვეყნა ფოტოსურათები, რომლებშიც ჩანს, თუ როგორ მიდიან ავტომობილით ლანჩზე პრინცი ჰარი, კეტრინი და ჯორჯი. გაურკვეველია, ამავე მანქანაში იმყოფებოდა თუ არა პრინცესა შარლოტა თუ ის მეორე მანქანაში იჯდა, რომლითაც მისი ძიძა მგზავრობდა. ინფორმირებული წყაროს ცნობით, პრინც უილიამისა და კეტრინის შვილი თვის გოგონა ლანჩს ესწრებოდა.

ამ ღონისძიებას ბუკინჰემის სასახლეში ასევე ესწრებოდნენ პრინცი ჩარლზი მეუღლე კამილასთან ერთად, ზარა ფილიპსი მეუღლე მაიკ ტინდალთან და ქალიშვილ მიასთან ერთად, პრინცი ენდრიუ, პრინცი ედვარდი, პრინცესა ევგენია და სამეფო ოჯახის სხვა წევრები.

ფაჩულიას 5 ქულა და 14 მოხსნა ინდიანაპოლისში



ზაზა ფაჩულიას დალასმა ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგი მატჩი ინდიანაპოლისში გამართა და ადგილობრივ ინდიანა პეისერსთან ვერაფერი გააწყო. მასპინძლებმა ტეხასელები 26 ქულით – 107:81 დაამარცხეს.

ინდიანელებმა დალასი მეორე ტაიმში გატეხეს, დიდი შესვენების დროს კი ფაჩულიას გუნდი ლიდერობდა – 47:45. მესამე მეოთხედში მასპინძლებმა 30:17 იმარჯვეს და დალასმაც მატჩის შემობრუნება ვეღარ მოახერხა.

ქართველი ცენტრი, ტრადიციულად, სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 26 წუთი გაატარა. ფაჩულიამ ორმაგი დუბლისკენ მსვლელობა შედეგიანად დაიწყო და მე-9 წუთისთვის უკვე 5 ქულა და 9 მოხსნა ჰქონდა. სამწუხაროდ, ზაზას მეტი ქულები აღარ მოუგროვებია, მოხსნებში კი 14-მდე ავიდა. მთლიანობაში ქართველმა ცენტრმა 8-დან 2 ორქულიანი და 3-დან 1 საჯარიმო ჩააგდო.

14 მოგებითა და 12 მარცხით დალასი დასავლეთ კონფერენციაში მემფისთან 5-6 ადგილებს იყოფს. ფაჩულიას გუნდი მომდევნო მატჩს სწორედ მემფისელებთან ხვალ გამართავს.

მ. ჯ

ავთანდილი ისევ გაქურდეს

ბარბარობის დღესასწაულზე ავთანდილს სიურპრიზი მოუწყვეს და წინასაახალწლოდ ისევ გაქურდეს. თბილისში მისი მაღაზიის კედელზე ინგლისურენოვანი აბრევიატურიდან ამჯერად ორი ასო მოიპარეს. გასულ წელს, ზუსტად ამ დროს, ავთანდილის მაღაზიის აბრევიატურას ერთი ასო მოჰპარეს. ამჯერად ნადავლის რაოდენობა გაორმაგებულია.

ინფორმაცია ამის შესახებ ავთანდილმა თავად გაავრცელა:

– ვიღაცამ კარგად დასცადა და დაჟე დაარიგა, ეტყობა... რავი, იქნებ საახალწლოდ სხვა საჩუქრებით დაეკმაყოფილოთ ნაშები.

დიზაინერმა გადაწყვიტა, წინა შემთხვევისგან განსხვავებით, ქურდობის ჩამდენები გამოავლინოს და ამისთვის მაღაზიის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე უახლოესი ვიდეოკამერების ჩანაწერების შესწავლა გადაწყვიტა.

გურჯაანში სამების ტაძარი გაძარცვეს

გურჯაანში გასულ წელს გახსნილი სამების ტაძარი გაქურდეს. შემთხვევა გვიან ღამით მოხდა.

ეკლესიის მოძღვარ მამა ვაჟა სონღულაშვილის განმარტებით, დამნაშავეებმა ტაძრის კარი გატეხეს, ერთი შესაწირი ყუთი წაიღეს, მეორიდან კი თანხა გაიტაცეს.

მომხდარზე გამოძიება ქურდობის მუხლით დაიწყო. მსგავსი ფაქტი რამდენიმე დღის წინ ღაგოდეხშიც დაფიქსირდა.

გურჯაანის სამების ტაძრის მშენებლობას საფუძველი 2010 წლის მარტში ჩაეყარა. მისი გახსნის დროს სამების საკათედრო ტაძარი ერთადერთი მოქმედი ტაძარი იყო ქალაქ გურჯაანში.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მექსიკელ მეთევზეს კაციჭამიობა ბრალდება

მექსიკელ მეთევზე ხოსე სალვადორ ალვარენგის წინააღმდეგ, რომელმაც ღია ზღვაში 15 თვე გაატარა, სასამართლოში სარჩელი იქნა შეტანილი. ის ეჭვმიტანილია თავისი თანამშრომლის იეზიკილ კორდობას მოკვლასა და შეჭმაში.

დაღუპული მეთევზის ოჯახი ვარაუდობს, რომ სწორედ ისაა მათი ნათესავის დაღუპვაში დამნაშავე და კომპენსაციის სახით მილიონ დოლარს მოითხოვს. საქმის სასამართლო განხილვის ვადები უცნობია.

ალვარენგის ადვოკატი რიკარდო კუკალონი დარწმუნებულია, რომ კორდობას ნათესავებმა სარჩელის შეტანა მას შემდეგ გადაწყვიტეს, როდესაც მისი დაცვის ქვეშ მყოფმა გამოსცა წიგნი, სადაც აღწერილი იყო, თუ რისი გადატანა მოუხდა ზღვაში ყოფნის დროს.

– ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ გამოცემულმა წიგნმა ჩემს კლიენტს ბევრი ფული მოუტანა, მაგრამ ეს ასე სულაც არ არის, – განაცხადა კუკალონმა.

2012 წლის ნოემბერში 36 წლის ალვარენგმა 22 წლის კორდობას 50 დოლარი გადაუხადა იმისთვის, რათა მასთან ერთად ორი დღით სათევზაოდ გამგზავრებულიყო მექსიკის სანაპიროსკენ, მაგრამ მეთევზეები ქარიშხალში მოყვნენ და ღია ზღვაში აღმოჩნდნენ. ამის გამო ისინი იძულებული იყვნენ, თავი თევზითა და ფრინველებით გაეტანათ, სასმელად კი კუს სისხლი და შარდი გამოეყენებინათ. გარკვეული დროის შემდეგ სიკვდილის პირას მყოფმა კორდობამ ალვარენგის პირობა ჩამოართვა, რომ გარდაცვალების შემდეგ არ შეჭამდა და მომხდარის შესახებ მის დედას მოუყვებოდა.

ალვარენგის თქმით, მარტო რომ არ დარჩენილიყო, ის კორდობას ცხედარს ექვსი დღის განმავლობაში ინახავდა, მაგრამ ბოლოს ვეღარ გაუძლო და წყალში გადააგდო. ის მომხდარიდან 348 დღის შემდეგ იპოვეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ავსტრალიაში სანტა კლაუსების რეკორდი დამყარდა

ავსტრალიის ქალაქ სიდნეიში ასეულობით სანტა კლაუსმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა სერფინგით მასობრივ ცურვაში. პლაჟ ბონდიზე 320-მა სანტა კლაუსმა მოიყარა თავი. როგორც გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენლებმა განაცხადეს, აქციის მონაწილეთა რაოდენობამ თავდაპირველად დაგეგმილ 250 სერფერს გადააჭარბა.

ორგანიზატორთა თქმით, ეს ღონისძიება იმ მიზნით ჩატარდა, რომ საზოგადოების ყურადღება ფსიქიატრიული ჯანმრთელობის პრობლემებს მიაპყროს. მათ ღონისძიების ჩატარებაში ადგილობრივი რიტეილერები, სერფინგის სკოლა და საქველმოქმედო სერფინგორგანიზაცია დაეხმარნენ.

– ეს კარგია, შესანიშნავია, ბევრი ადამიანი, ბევრი სიცილი, მხიარულება, ბევრი ენერგია, სულის შემძვრელია, – განაცხადა ერთ-ერთმა სანტა კლაუსმა.

იუმორი

გინეკოლოგი პაციენტ ქალს ეკითხება:

– რამდენ მამაკაცთან გქონდათ სქესობრივი ურთიერთობა?

– ხუთთან თუ ექვსთან...

– ჰოო, არც ისე ბევრია...

– ჰო, ექიმო, მთლად კარგი კვირა არ მქონდა...

●●●

ცოლ-ქმარი ქუჩაში მიდის. ქარი ამოვარდება. ცოლი ქმარს ეუბნება:

– ოჰ, როგორ უბერავს, მთელი თმები ამეწეწა. ალბათ სულელურად გამოვიყურები ხო?

– არა, რატომ, სრულიად ჩვეულებრივად.

●●●

ორი დაქალი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– დიდ ხანია არ მინახიხარ. როგორ შეეწყვე მეუღლეს?

– კარგად. იცი, რაც შევუღლდით, მის თვალში აშკარად გავიზარდე.

– ეგ როგორ?

– ადრე თუ თაგუნიას მეძახდა, ახლა ვირთხას მეძახის.

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, რას აკეთებ?

– ჩვენი ქორწინების მოწმობას ვკითხულობ.

– რატომ?

– მაინტერესებს, ვადა როდის გასდის...

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– გუშინ მარტოხელა გულების ვებგვერდზე ჩემი სურათი გავგზავნე.

– მერე, რა გიპასუხეს?

– უკან გამომიგზავნეს წარწერით: „არც ასეთი მარტოხელები ვართ!“

●●●

აღფრთოვანებული მამაკაცი ექიმს ეუბნება:

– გასულ კვირას ის იმპოტენციის საწინააღმდეგო წამალი რომ გამომიწერეთ, პირდაპირ საოცრებაა, თავს ოცი წლის ბიჭივით ვგრძნობ!

– შესანიშნავია. მახარებს თქვენი მკურნალობის შედეგი. და რას ფიქრობს ამაზე თქვენი მეუღლე?

– არ ვიცი, ექიმო. მას მერე სახლში ჯერ არ ვყოფილვარ...

●●●

მეზობელი პატარა გიგის ეკითხება:

– გიგი, რა გაჩუქეს დაბადების დღეზე?

– აი, ვერცხლისფერ მერსედესს ხედავ, ფანჯარასთან რომ დგას?

– ჰო, ვხედავ. მაგარი მანქანაა.

– ჰოდა, მაგ ფერის ქუდი...

●●●

ზოოპარკში ბავშვი მამას ეუბნება:

– მამა, ის გორილა რაღაც ძალიან ავი თვალით გვიყურებს.

– დაწყნარდი, შვილო, ჯერ სალაროსთან ვართ.

●●●

სამშობიარო სახლთან მდგომ ახალშობილის მამასთან ექთანი მიდის, ხელში სამი ტყუპი უჭირავს და ეკითხება:

– ამდენი ბავშვი არ გაშინებთ?

– არა!

– მაშინ, ესენი დაიჭირეთ, მე კი დანარჩენებსაც გამოგიყვანთ!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა